„მალაგას" 17 წლის ფორვარდმა **ხუანმიმ** (სრული სახელია **ხუან მიგელ ხიმენესი**) პრიმეირა დივიზიონის რეკორდი დაამყარა - მან „სარაგოსას" კარში ორი გოლი გაიცანა (რასაც ერთი საგოლე პასიც დაუმატა), რითაც ჩემპიონატის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა.

ხუანმი ესპანეთის 17-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იყო (6 თამაში, 5 გოლი). მან „მალაგას" პირველ გუნდში პირველად იანვარში ითამაშა „ხეტაფეს" წინააღმდეგ „სამეფო თასის" მატჩში და გოლიც გაიცანა. მაშინ ხუანმი „მალაგას" ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა გოლის ავტორი გახდა. 5 აგვისტოს ფეხბურთელმა კარიერაში პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა, ის 2015 წლის ივლისამდე „მალაგაში" ითამაშებს.

გუისამ ოპერაცია გაიკეთა

„ფენერბაჩეში" ესპანელმა თაედამსხმელმა **დანი გუისამ** აქილევსის მყესის ოპერაცია გადაიტანა. 30 წლის თაედამსხმელი შენუხებული იყო ამ ტრავმის გამო და ახალი სეზონის დასანყისში გადაწყვიტა ოპერაციის გაკეთება. ექიმები ამბობენ, რომ ეფროხის ჩემპიონმა ოპერაცია ნარმატებით გადაიტანა, ორმაბაის გუისა შინ გაწერეს. ესპანეთის ნაკრების ექიმმა **ხუან ხოსე გარსია კუბამ**, რომელიც ოპერაციაში მონაწილეობდა, განაცხადა, რომ კლუბს გუისას გარეშე 8 კვირა მოუწევს გაძლება. ზაფხულში ბევრს საუბრობდნენ, რომ ესპანელი საამობლოში დაბრუნდებოდა, მაგრამ თავად გუისამ გადაწყვიტა „ფენერბაჩეში" დარჩენა.

არიენ რობენი ფეხბურთის, სავარაუდოდ, ნლის ბოლომდე ვერ ითამაშებს

● სკანდალი

ბაიერნი პოლანდიას: გიჩივლებთ!

რუმენიგე და კომპანია ნარინჯისფრებს როგორც ამგავს ვერ პატიობენ, საქმე მილიონებს ეხებაო

მიუნხენის „ბაიერნსა" და ჰოლანდიის ნაკრებს შორის **არიენ რობენის** თაობაზე ატეხილი დავა აშკარა დაპირისპირებაში, უფრო მეტიც, ფაქტობრივად, სანდალში გადაიზარდა. ორშაბათს მიუნხენური კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** გადაცემა „ბლიკპუნკტ შპორტში" ჰოლანდიის საფეხბურთო ჯავშნის ნინააღმდეგ ერთობ ხმამაღალი განცხადებები გააკეთა და იმასაც არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში „ბაიერნმა" ჰოლანდიის ნაკრებს სასამართლოში უჩივლოს.

შეგახსენებთ: საქმე იმაშია, რომ ბავარიელები ჰოლანდიელებს რობენის არასწორად მკურნალობაში სდებენ ბრალს. მათი თქმით, ჰოლანდიელებმა რობენი მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაიყვანეს, მოუხედავად იმისა, რომ მისი ტრავმის შესახებ იცოდნენ და დრობლიორი გამბაყურებლებთ ათამაშეს, რის გამოც არიენს ტრავმა გაუმძაფრდა და ახლა ნლის ბოლომდე იძულებითი პაუზა აქვს გამოწერილი.

„თუ ჰოლანდიელები უარს იტყვიან ჩვენთან ერთად პრობლემის გადაჭრის მისაღები გზების ძიებაზე, სხვა გზა აღარ დავგრჩება და იძულებულები ვიქნებით, ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციასა და მის მთავარ ექიმს სასამართლოში ვუჩივლოთ, - თქვა რუმენიგემ და იქვე დასძინა, - მერე კი საქმეს იურისტები მიხედავენ და ჰოლანდიელები მაინც დაისჯებიან".

რეკორდსმაისტერის ბოსის თქმით, „ბაიერნი" ჰოლანდიელებისგან ფინანსური ზარალის ანაზღაურებას ითხოვს - სპორტული ზარალს ისედაც ვერ ავგანაზღაურებენ. „ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქმე მილიონებს ეხება!" - აცხადებს რუმენიგე. ამ მხრივ კი რუმენიგე ცაბდე მართალია, რადგან „ბაიერნს" ტრავმირებული რობენის შენახვა დღეში 11.000 ევრო უჯდება...

გოტფრიდ ლენცი

ამბები

ესპონიელი კიპიაროსში

ესპონიოლის ნაკრების ვეტერანმა ფორვარდმა **ანდრეს ოპერმა** კარიერის კიპიროსში გაგრძელება გადაწყვიტა. გასული სეზონის მეორე ნახევარი 32 წლის ოპერმა პოლანდიურ „დენ ჰაგში" გაატარა, სადაც ქვეყნის პირველობის 12 მატჩში ერთი გოლიც გაიტანა.

„ბაფუნდით კი ესპონიელი დაკლების ხელმძღვანელებთან კონტრაქტის ვადანაწერზე ვიმსჯელებდით, მაგრამ ბოლოს ფეხბურთელი სრულიად უეცარად დაინახა - ოპერი ხომ თავისუფალი აგენტი იყო. მხარეებმა ერთხმლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

ოპერი ესპონურ ფეხბურთში გამორჩეული კაცია. ამ ფეხბურთელს ეროვნულ გუნდში დებიუტი 15 წლის ნინათ, 17 წლის ასაკში ჰქონდა და მას შემდეგ ანდერს ოპერმა ესპონეთის ნაკრების შემადგენლობაში 117 მატჩი ჩაატარა და 36 გოლიც გაიტანა.

ბერლუსკონი თავს ემართლებოდა...

ორშაბათს იტალიის პრემიერ-მინისტრმა **სილვიო ბერლუსკონიმ** „ჩეზენასა" და „მილანის" მატჩის არბიტრად საუკეთესოდ გაიარჩია, აქედან, რეფერიმ წესების დაცვით გაგზანილი ერთბაშად სამი გოლი არ ჩაგვითვალოს.

„კარნეირომ" მეპატრონის ასეთმა განცხადებამ იტალიაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მოგეხსენებათ, ჩეზენამ მილანელმა **ალეჯანდრო პატუმ** ორი გოლი გაიტანა, რომელთაგან ერთი ოფსაიდში მყოფმა შეაგდო, ხოლო ბრაზილიელის მეორე ზუსტ გასროლას ნინ მილანელთა მხრიდან ნესის დარღვევა უფიქსირდა. მესამე არჩათვლილ გოლში ბერლუსკონიმ აღბათ **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** აცილებული პენალტი იგულისხმა.

ბერლუსკონის ამ სიტყვებს პასუხი „ჩეზენას" ტექნიკურმა დირექტორმა **ლუკა მანჩინიმ** გასცა:

„რაცა ბერლუსკონი ამბობდა, რომ მსაჯმა „მილანის" სამი გოლი არ ჩათვალა, ეს ნიშნავდა, რომ „მილანის" პრეზიდენტს ეს თამაში ნანახიც არ ჰქონდა. მეცხადა ვიტყვი - მას ეს თამაშიარც ახლა აქვს ნანახი. უბრალოდ, თავისი ბერლუსკონის მარცხის გამართლებას ცდილობს, მეტი არაფერი".

ხარბი ჭილინა

სლოვაკური „ჟილინას" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა და ცენტრალური ევროპის ამ ქვეყანაში საფეხბურთო ბუმის დანყება ერთი იყო. აი, კლუბის ხელმძღვანელები კი ამ ფაქტს მხილოდ იმად იყენებენ, რათა საკუთარი ჯიბეები გაიხსქელონ.

ოთხშაბათის „ჟილინას" საკმაბიონალიგო დებიუტი აქვს, სლოვაკეთის ჩემპიონი თვით „ჟილინის" მასპინძლობს და ნარმოგიდგენიათ, რაზხელი დღესასწაულია 85-ათასმოსაბლაისი ქალაქისთვის მსოფლიო დონის ჯარსკვლავების თავისთან ხილვა?! მაგრამ ოჯაკედა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ სტადიონზე დასასწრებ ბილეთებს ცეცხლზი ნაუყარა: ყველაზე იაფი 75 დოლარი ღირს, ხოლო ყველაზე ძვირი - 500!!! ანუ, სლოვაკეთის ჩემპიონობის მატჩების ბილეთის ფასი დაახლოებით 10 დოლარის ტოლია. აქეე იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასულთა „ჟილინამ" 10 მილიონი ევრო უკვე გარანტირებულად გამოიმუშავა...

ბუნებრივია, ასეთი ვითარება უყურადღებოდ დასაბუთებული არ არის და უეფას რეაქციამაც არ დააყოვნა.

„სიტუაციას დიდი ყურადღებით ვაკვირდებით და მის განხილვასაც ვაპირებთ", - მოკლედ და კონკრეტულად თქვა უეფას საპრეზიდენტო კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა.

ბენზემას მოგასალი მხოლოდ რვალი?

მადრიდის „რეალის" ფორვარდის **კარიმ ბენზემას** აგენტმა **კარიმ ჯაზირიმ** კატეგორიულად უარყო ხმები, თითქოსდა მისი კლიენტი თავისი უძანაწირო ყოფით უკმაყოფილო იყოს და „სამეფო კლუბის" დატოვებას აპირებდეს.

გასული მაღრიდული სეზონი ახალგაზრდა ფრანგისთვის ნარუმატებელი გამოდგა და ზაფხულში მის გადაბირებაზე „ლივერპული", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „მანჩესტერ სიტი" ცდილობდნენ, თუმცა ფრანგმა „რეალში" დარჩენა აირჩია.

„ბენზემამ მომავალი მხოლოდ „რეალს" უკავშირდება. უკმრავი ბნა დადის, თითქოს კარიმი შამთარში იტალიაში ან ინგლისში გადასვლას აპირებდეს. მისი კარიერის გაგრძელების ასეთ ვარიანტზე კატეგორიულად გამოვრიცხავ. ბენზემა „სამეფო კლუბის" ფეხბურთელია და არსად წასვლას არ აპირებს", - თქვა ჯაზირიმ.

სლავა გასპაროვი

ლა ლიგა. სიმბოლური ნაკრები

ტურის საუკეთესო ფეხბურთელი

გმირები ანტიგმირებად იქცნენ

ნავთასის შემშინებელი და არაგონში დაბადებული ვარსკვლავი

ლა ლიგის II ტურიც გაიღია და goal.com-მა ტრადიციულად შემოგთავაზა სიმბოლური ნაკრები. აღსანიშნავია, რომ ერთი ფეხბურთელიც კი არ მოხვედა ახალ სიმბოლურ ნაკრებში ! ტურის ვმირთაგან. მეტიც, ბევრი მათგანი გასულ უქმიებზე სულაც ანტიგმირად იქცა. მაგალითად „მალიორკას" პორტუგალიელი მცველი ჟოზე ნუნინში, რომლის გაძევების გამო გუნდმა უშანსოდ წააგო. თუნდაც „ესპანიოლის" იტალიელი ფორვარდი პაბლო ოსვალდო, პირველ ტურში დუბლის ავტორი ახლა პირველივე ტაიმში შეცვალეს. მოკლედ, ჯერ ! ტურის სიმბოლურ ნაკრებს შეგახსენებთ: ვოატე - კონკო, ნუნინში, იაროშკი - რეიესი, ინიესტა, პრიეტო, ხოაკინი - ოსვალდო, ვილია, აგუერო.

მეორე ტურის სიმბოლურ ნაკრებს 4-3-3 ტაქტიკური განლაგებით გთავაზობთ. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც ორივე ტურში ახლოს იყო სიმბოლურ ნაკრებთან ურუგვაელი დიეგო ფორლანია, თუმცა „ატლეტიკოს" ფორვარდი 11-ეულში ვერც ამჯერად მოხვედა.

მეკარე

მანუ (დეპორტივო): **დანიელ არანსუბიამ** მხრის ტრავმა მიიღო და გალისიური კლუბი „სანტიაგო ბერნაბეუზე" სარეზერვო გოლკიპერით წარდგა. მანუმ შანსი შესანიშნავად გამოიყენა, „აქვილეელთან" შეტევები მეაჩრია და უსწრაფესი რეაქცია გამოაჟინა. 24 ნლის მეკარემ განსაკუთრებით **ალვარო ნეგრედოს** დარტყმისას გამოიჩინა თავი. მან **მარტინ კასურესს** და **დიეგო პერროტსაც** კარგი დარტყმები აუღო.

მცველები

რიკარდო კარვალიო (რეალი): პორტუგალიელი პირველად თამამობდა „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რეალის" მაისურით. მან დებიუტში გამარჯვების ნილი გაიტანა. მხოლოდ გოლშიც არ არის საქმე, კარვალიო გუნდის ახალნეგულია, მაგრამ უკვე ცდილობს „რეალის" დაცვის ლიდერობას და ეს კარგადაც გამოსდის, „ოსასუნა" „სამეფო კლუბის" საუკარმოს ვერ გაეკარა.

ნოე პამარო (ვერკულეი): „ბლაუგრანას" წინააღმდეგ მისსავე მოედანზე თამაში ურთულესია ნებისმიერი გუნდის მცველისთვის, ფრანგმა კი ბრწყინვალე ინდივიდუალური დაცვითი თამაში აჩვენა. „ერკულეის" მცველებმა შეძლეს ის, რაც ვერ მოახერხა გასულ სეზონში ვერავინ - „ბარსელონას" გოლი არ გაატანინეს. „პორტსმუთისა" და „ტოტენჰემის" ყოფილმა მცველმა თავით საფარმოდან გამოიტანა ყველა მაღალი ჩანოგება.

დიეგო გოდინი (ატლეტიკო): დიეგო გოდინის ყოფიან „ვილარეალიდან" უკვე გაამართლა **კიკე ფლორესის** იმედები, როგორც იქნა, „ატლეტიკოს" დაცვის ბაზისად ეშვეულა. „ასნ მამეს" 88 წუთის განმავლობაში ბილბაოელები ამაოდ უტევდნენ „ატლეტიკოს", რომლის დაცვის გუნდში 24 წლის ურუგვაელი უწევდნებოდა ყუოპპრობისთვის მოქმედებდა.

კლაუდიო მორელი (დეპორტივო): გამოცდილმა პარაგვაელმა თითქმის მთელი კარიერა არგენტინელ ფეხბურთში გაატარა, თუმცა იოლად შეეგუა ლა ლიგასაც. „სევილიას" ნინააღმდეგ მაგრში ცვლილი რიული ალოცანა ხომ მას ეკისრა - ფლანგზე **ხესუს ნავასის** გარჩევა. 32 წლის მორელმა მოსცენება დაუყარა ნავასს, უხეშობის ზღვარზე ეთამაშა და ცოტა შეაშინა კიდეც.

ნახევარმცველები

მესუთ იოზილი (რეალი): „ბლაგოსი" არ ბრწყინავს, თუმცა ინდივიდუალურად გუნდის გერმანელი ახალნეგული გამოირჩა. 21 წლის ნახევარმცველის ბრწყინვალე უასმა წამოიწყო ის საგოლე შეტევა, რომელიც **კრიშტიანო რონალდომ** გააგრძელა და რიკარდო კარვალიომ დაასრულა. გუნდი მოუმატებს, ასე რომ, ველოდოთ იოზილისგან მორიგ თავგამოჩენას.

ქვინსი ოვუსუ-აბეიე (მალაგა): ახალგაზრდა განელმა ლამის მთელი მსოფლიო შემოიარა, ახლა კი „მალაგაში" დამკვიდრდა. პირველ ტაიმში ლამის მარტო არბევდა „სარაგოსას" და გუნდს აფრიკელის შესაწერებლად რესურსი არ აღმოაჩნდა. **ხუანმის** მას შემდეგ გაატანინა, რაც ბურთით 40 მეტრამდე გაირბინა, შემდეგ კი თავადაც გაიბერა.

ბორხა ვალერო (ვილიარეალი): „რეალში" აღბათ ნანობენ კიდეც, რომ ბორხა ვალეროს ხერხიანი შანსი არ მისცეს. შარშან „მალიორკაში" ბორხა გუნდის ლიდერი იყო, ნლეულს კი იგივე ფუნქციაა „ვილიარეალში" შეითავსა, არადა „ეულ სუბმარინოს" არაერთი ვარსკვლავი ჰყავს. „ესპანიოლთან" მარცხენა ფლანგზე გაინავარდა.

თავდამსხმელები

ნელსონ ვალდესი (ურკულეი): მხოლოდ ფაქრები: „ერკულესში" დებიუტი ჰქონდა, თანაც „კამპ ნოუზე", „ბარსელონას" გაუტანა ორი უასუხო გოლი. ტურის საუკეთესო ფეხბურთელი - ყველაფერი ლოგიკურია.

ჯუზეპე როსი (ვილიარეალი): როსის შემთხვევაში ასე ხდება ხოლმე, იტალიური მედია გამოაქვეყნებს მასალებს, როგორ ობლად გრძნობს თავს ის ესპანეთში და როგორ სურს სერია A-ში დაბრუნება, გადის ერთი-ორი დღე და ისინი ხმებს უარყოფს, შემდეგ კი მოედანზე ამტკიცებს, რომ „ვილიარეალში" თავს კარგად გრძნობს.

ხუანმი (მალაგა): ვფიქრობთ, ამ არაგონელ გოლთადენამში ახალი ვარსკვლავი დაიბადა - ხუანმი. „მალაგამ" რომ 5:3 დაამარცხა „სარაგოსა" 17 წლის ფორვარდის დამსახურებაცაა. ორი გოლი და საგოლე პასი თინეიჯერის აქტივებში...

ისინი, ვისი აღნიშვნაც გვსურდა: **დიეგო ფორლანი** (ატლეტიკო), **ხაიმე გავილანი** (ტენერიფე); **ალბერტო ბოტია** (სპორტინგი), ფერნანდო (მალაგა), **ვისენტე** (ვალენსია), **რაულ ტამუდო** (რეალ სოსიედადი), **რიკარდო** (ოსასუნა).

ნიკოლოზ ნეშარიძე



მეორე ტურის სიმბოლური ნაკრები

ამბები გიზელითაკა

ფერგის მარგო ვილია სურდა

„მანჩესტერ ოუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი **ალექს ფერგიუსონი** კმაყოფილია - ჩემი გუნდის შემადგენლობა სრულად დაკომპლექტდაო.

„ფორმებით თვალსაზრისით არავინ გე ზღუდავს. თუკი ამჟამინდელ შემადგენლობაში დაორმოცდაათ ვინმეები, სატრანსფერო ბაზარზე რაშეს მოვიძებდითო. ერთადერთი ფეხბურთელი, ვისი დამატებაც მსურდა, დავიდ ვილაია, მაგრამ „ბარსელონამ" მისი ტრანსფერის საკითხი ძალზე მოკლე ვადებში მოაგვარა და ეს ფორვარდიც მათ საკუთრებაში გადავიდა. ვიდრე ბაზარი უფრო კეთილგონიერ სფეროდ არ იქცევა, ჩვენთვის საეჭვოები მოქმედება ახალგაზრდა ფეხბურთელების შეძენა და მათი დაოსტატება იქნება. ასეთ გზით „მანჩესტერ უუნაიტედი" ფეხბურთელებით უპალოვსი ნ ნლით იქნება უზრუნველყოფილი. მეკვლება, მნოდელოს საუკეთესო ფეხბურთელებსაც ისდაც მრავალდ გვყავს უახლოეს ნლებში კი შემადგენლობას კაძლიერებ ალბათ მოგვიწევს - როგა რაიან გიგზნი, პოლ სკოულზი და გარი ნევილი კარიერას დაასრულებენ. ახალი ტოპფეხბურთელები დაგვჭირდება, რათა ახალება ზრდებს გვერდით სამაგალითო პროპაპანდა შეგვდეთ", - უთხრა სერ ალექსმა „ტელეგრაფს".

რიგი მსოფლიო ჩემპიონთან

ესპანეთის ნაკრებისა და „სევილიას" გარემარნ **ხესუს ნავასის** გადაბირების მსურველთა რიგი უდგას: „იუვენტუსი", „ჩელსი", „რეალი", „ბარსელონა"...

ამიერიდან ამ სოლიდურ კომპანიას ლონდონის „არსენალიც" დაემატება. „მეთოდეთა" დამრიგებელი **არსენ ვენგერი** ამ ფეხბურთელის ნიჭის სტატიან თავყანისმცემელთა ყოფილა და იანვარში, როცა საბრანსფერო ფანჯარა გაიხსნება, ნავასის შეძენასაც შეეცდება.

წლის ბოლომდე „მეთოდეები" საბოლოოდ წამოყალიბდებიან და ანდალუსიური კლუბის ოფისს ხუთივე ნავასის თანაბრად ოფიციალური წინადადებითაც მიმართავენ. საქმეში ჩაზეყნული ხალხი ვარაუდობს, რომ „სევილია" თავისი ერთერთი საუკეთესო ფეხბურთელის სანაცვლოდ 30 მილიონ ევროს მოითხოვს.

შეგახსენებთ, რომ ზაფხულში 24 წლის ნავასმა მსოფლიოს ჩემპიონატზე მთამპეტედად ისახარება და ესპანეთის ნაკრებთან ერთად ჩემპიონიც გახდა. სწორედ მას შემდეგ იყო, „სევილიას" პრეზიდენტმა **ხოსე მარია დელ ნიდომ** რომ თქვა: „ხესუსმა ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტი დაიმსახურა".

დულარი კოგიდან გამოიყვანეს

ვენიცარული „ინგა ბოიზის" არგენტინელი ფეხბურთელი **ემილიანო დუდარი** ხელოვნური კიბედან გამოიყვანეს. „ინგა ბოიზისა" და „ბაზელის" ეკიპის გამართული მატჩის მსურველთასაც, დუდარი თანაგუნდელ **ფრანსუა ჰოლტტერს** შეეჯახა და ამ უანასკნელის კეთა ემილიანოს სახეში მოხვდა, რის შედეგადაც არგენტინელმა გონება დაკარგა. პირველი ტაიმის მნიუროულს მომხდარმა ინციდენტმა თამაში 8 წუთით შენყვიტა.

როგორც უკვე ჩოსპიტალში გაირკვა, დუდარს ცხვირი და ყბის ძვალი გატეხვია. მედიკოსებმა სამხრეთამერიკელი ხელოვნური კიბიდან ამოიღეს, გონსაც მოიყვანეს. ექიმების თქმით, ჯერჯერობით რთული იმაზე საუბარი, თუ რამდენ ხანს ვასტანს ემილიანო დუდარის რეაბილიტაციის პროცესი, თუმცა ცხადია, რომ ფეხბურთელის მედიკომრეობა სპბანლური და მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

იოვანოვიჩი: ჩვენ ხომ ლივერპული ვართ!

„ლივერპულის" ახალნეგული ნახევარმცველი **მილან იოვანოვიჩი** კლუბის ფანებს დაპირდა, რომ ჩვეულ ფიზიკურ კონდიციებს უმოკლეს დროში აღიდგენს.

„ახლა უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, ვიდრე ეუ ზონის სტატუს ზე, - მოპკავს სერბის სიტყვებში „ლივერპულის" ოფიციალურ საიტს, - როცა ცუდ ფორმაში ვარ, თავს ყველაზე უბედურ ადამიანად ვგრძნობ. „ლივერპულის" მოთამაშე ვარ, ეს კი ნიშნავს, რომ ამ ვუდის ნარმატებისთვის მაქსიმალურად დავიზარჯები. პრინციპში, „პრემიერ ლიგის" წინააღმდეგ ჩემი თამაშით ამაყი ვიყო ვარ, თუმცა გუნდს შეასნენეთ ხეირი მაინც ვერ მოვუტანე. მთავარია, ვგრძნობ, რომ ნელ-ნელა ფორმაში შევდივარ, დარმნუნებული ვარ, რომ გოლების გატანასაც მალე დავიწყებ და როცა ეს მოხდება, დუნაიზე ჩემზე ბედნიერი არავინ იქნება. ეუნეკ არ მეპარება, რომ „ლივერპულში" საბურნირო მდგომარეობას მალე გაიუმჯობესებენ. ინგლისური პრემიერლიგა რთული ტურნირია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქეს - ჩვენ ხომ „ლივერპული" ვართ!

სლავა გასპაროვი

კავშტანი

რიო ჰიგუეინს დაიბრუნებს

რიო ფერდინანდი ამბობს, რომ ჩემპიონთა ლიგა „მანჩესტერ იუნაიტედს" პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლას ვერ შეუსუსტებს. ფეხბურთელი, რომელიც ივნისის დასაწყისში სამხრეთ აფრიკაში ინგლისის ნაკრების ეარყვიშზე დაშავდა და მას მერე მკურნალობდა, „წითლის" აფრთხილებს, ჩვენთან შედარებით მაგ თქვენმა ოთხტულიანმა უპირატესობამ არ მოგატყუოთო.

„ჩვენ ყველა შეჯიბრებაში გამარჯვება გვინდა. რაც „მანჩესტერ იუნაიტედში" ვთამაშობ, ყოველ წელიწადს ამ სიტყვებს ვიმეორებ და გუნდიც ყოველ წელიწადს ამტკიცებს, რომ საკმისადმი სწორედ ასეთი დამოკიდებულება აქვს. გასულ სეზონში პრემიერლიგის ჩემპიონის ტიტული „წითლის" მოიგო, რამაც ძალიან გვატკინა გული, მაგრამ მეორე მხრივ სულ შენ ხომ ვერ გაიმარჯვებ. გული იმან დაგვწყვიტა, რომ ჩემპიონობის შანსი ჩვენც გვქონდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ტრავმების გამო საუკეთესო ფეხბურთელები გვაკლდებოდა. დიახ, ლონდონელებმა პატიოსნად გვაჯობეს, მაგრამ ახლა ჯერი ჩვენზეა - ტიტული უნდა დავიბრუნოთ".

რიო ფერდინანდი

ილია ბაბუნაშვილი

ფეხბურთი და ფინანსები

სენსის მძიმე გადაწყვეტილება: რომა იყიდება!

დღეს ხანი ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ სენსების ოჯახი საფეხბურთო კლუბ „რომას" გაყიდვას აპირებდა და როგორც გაირკვა, გავრცელებული ცნობები საფუძვლიანი ყოფილა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ჯალოროსი" უკვე ოფიციალურად გაიტანეს გასაყიდად და შესაბამისმა პირებმა ბაზრის შესწავლაც დაიწყეს. ამის შესახებ „უნკერდენ ბანკის" წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება - სწორედ მათთან ჰქონდა კონსულტაციები **როზელა სენსის**, რომელმაც ასეთი მძიმე გადაწყვეტილება მიიღო. ბანკის წარმომადგენელთა განცხადებით, სენსებს დიდი ვალები აქვთ და აინტერესებდათ, შეძლებდნენ თუ არა ამ ვალების გასტუმრებას კლუბის გასხვისების გარეშე, რაზეც უარყოფითი პასუხი მიიღეს - შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილება ფაქტობრივად იძულების წესით არის მიღებული.

„გაიტყა დელო სპორტის" ცნობით, კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტის შეძენის სურვილი უკვე გამოთქვა „ლუკოილის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა **ლეონიდ ფედუნმა**. ავტორიტეტული გამოცემა ოუწყება, რომ პირველ ეტაპზე ფედუნს აქციათა 50%-ის ყიდვას სურს, უახლოეს ორ წელიწადში კი კიდევ 35%-ის შეძენას შეეცდება. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

ლაშა წიკლაური

მილანი

პიპოს ლივერპულის კარში გაგზავნა

პიპოს ბენიტესს უპასუხა...

მასპირველდეგ, რაც „მილანის" მესვეურებმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **რობინიო** გადაიბირეს, ბევრის აზრით, „როსონერი" ჩემპიონატის მთავარი ფავორიტი გახდა და პოტენციალით „ინტერსაც" აღემატება. ასეთი საუბრები ბუნებრივიც არის, რადგან „მილანის" გაძლიერების ფონზე, საყოველთაო მოსაზრებით, „ლერძარი" დასუსტდა. „შავ-ლურჯების" მთავარი დანაკლისი **ჟოზე მოურინიოა**, ვის სახელთანაც ასოცირდება „ინტერის" ბოლო წარმატებები. ამასთან, გუნდი **მარიო ბალოტელიმ** დატოვა, რომელსაც ნელილი აქვს შეგანილი გასული სეზონის ტრიუმფში. მოუხედავად ზემოთქმულისა, **რაფაელ ბენიტესმა** ფავორიტად სწორედ მისი გუნდი მერაცხა და შემდეგი განაცხადა:

„ჩვენი მთავარი კონკურენტი „მილანი" გვარიანად გაძლიერდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სკუდეტო აუცილებლად თანაქალაქელს დარჩება. მახსოვს ჩემპიონთა ლიგის სტამბულის ფინალი, სადაც ფავორიტად ასევე „როსონერი" მიიჩნეოდა, მაგრამ რით დასრულდა ის პაექრობა, ყველას კარგად მოგეხსენებათ. ასე რომ, „მილანთან" "დაპირისპირების გამოცდილება მაქვს და კარგად ვიცი, როგორ უნდა ვაჯობო ამ გუნდს. რაც შეეხება ჩვენს თამაშს, პირველ ორ ტურში საუკეთესო კუთხით ვერ წარმოვჩნდით, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია. ეს ზონა ახალი დანყებულია და ფეხბურთელები შორს არიან ოპტიმალური ფორმისგან. მთავარია, სწორად გავანაწილოთ ძალები და საჭირო დროს, ფორმის პიკზე გავიდეთ".

ბენიტესმა სტამბოლის ფინალი გაიხსენა დაშსალიან მალე, მას **ფილიპო ინძაგი** გამოეხმაურა - ის ინძაგი, რომელმაც ორი წლის შემდეგ, ათენში მერსისაიდულ გუნდს ორი ბურთი მიართვა:

„როგორც ჩანს, ბენიტესს დაავიწყდა, რომ სტამბულური ფინალიდან ორი წლის შემდეგ, ჩვენი გუნდი ათენში გადაიკვეთა. „მილანმა" 2:0 მოიგო და სრულფასოვანი რევანში აიღო. ასე რომ, გასახსენებელი ჩვენც გვაქვს და უმჯობესია, წარსულში ნუ დავინყებთ ქექვას. მთავარია, ამჟამად რა მდგომარეობაში ვართ და ვის მეტი შანსი აქვს. ჩემი აზრით, დღეს არავის ზე ნაკლები გუნდი არ გვყავს და სკუდეტოს მოპოვების უმთავრესი ფავორიტები გახლავართ. დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს და თუ გამარჯვება თანაქალაქელებს ერგოთ, პირველი მე მივულოცავ".

ლაშა წიკლაური

გამოხმაურება

კასანო გაშიფრულია

„იუვენტუსი"-„სამპდორიას" შეხვედრაში კიდევ ერთხელ გაიბრწყინა **ანტონიო კასანომ** და დაგვანახვა, რომ დღეს იტალიაში ერთი-ერთი ყველაზე გამორჩეული თავდამსხმელია. გარდა იმისა, რომ გოლი გაუტანა ტურინელ გრანდს, არაერთი შესანიშნავი პასი გააკეთა და ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემატკივრების ტაშიც დაიმსახურა. ანტონიომ ფურნალისტებთან გასაუბრება მოისურვა და „იუვენტუსის" მისამართით კომპლიმენტები არ დაიშურა:

„თავიდანვე ვამბობდი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ამ ფორმაციის „იუვეს" მაღალი მიზნების მიღწევა შეუძლია. ტურინელებს ისეთი მწვრთნელი ჰყავთ, ვინაც შესანიშნავად იცის, როგორ უნდა მოიყვანოს გუნდი დიდ ფორმებამდე. აი ნახავთ, სულ ცოტა ხანში „ვეჩია სენიორა" ბრწყინვალედ ათამაშდება და ამ გუნდის შეჩერება ძალიან რთული იქნება. ჯერ სეზონი ახალი დაწყებულია და მიკვირს, როდესაც კრაგიკას ვისმენ - ვფიქრობ, პირველი ოთხ-ხუთი ტური უბრალოდ უნდა მივაღწიონთ მოვლენებს თვალი და მხლოდ შემდეგ დავიწყოთ გარჩევა და ანალიზი".

კასანოს კომენტარი იტალიელმა ჟურნალისტებმა „იუვენტუსის" ბოსტანში ნასროლ ქენჭად მიიჩნიეს - ანტონიოს წარპირველ ლიგაში სურდა ასპარეზობა და სწორედ ამიტომ დარჩა „სამპდორიაში", მაგრამ ხელი მოეცარა და პრემიერის „ელდერათან" ორმაგზრნი დუელში დამარცხდა. შესაბამისად, დიდია შანსი, რომ იანვარში, ან უკიდურეს შემთხვევაში მომავალ ზაფხულს ახალ კლუბში გადასცელით იყოს დაინტერესებული.

„იუვე" კასანოსთვის შესანიშნავი ვარიანტი უნდა იყოს, რადგან ტურინულ გრანდში ძირითადად იტალიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები ასპარეზობენ, ანუ ანტონიოსთვის შინაური ხალხი. ეს „იუვენტუსი"-„სამპდორიას" შეხვედრის დროსაც იგრძნობოდა - მთელი მატჩის განმავლობაში, კასანო არ გაჩერებულა, თითქმის ყველა ტურინელ ფეხბურთელთან შევიდა კონტაქტში, ბევრს ხუმრობდა და თავს ძალიან კომფორტულად გრძნობდა.

იგივე შეიძლება ითქვას **ლუიჯი დელ ნერისთან** მის დამოკიდებულებაზე, სწორედ „იუვეს" ამჟამინდელმა თავკაცმა დაადკვიანა კასანო და ფეხბურთის გზას დაუბრუნა. დელ ნერის მისამართით კასანომ თბილი სიტყვები არ დაიშურა და ესეც მის განზრახვაზე მეტყველებს - მიაწინათ ჩვენს იტალიელ კოლეგებს. ისე, **ალესანდრო დელ პიეროს** ასაკიდან გამომდინარე, კასანოს გადაბირებაზე ფიქრი, ნესით, ძალიან ლოგიკური და ბუნებრივი უნდა იყოს.

ანტონიო დაახლოებით იმავე სტილში თამაშობს, როგორც ალესანდრო - თავდამსხმელია, მაგრამ სილრმეში უყვარს შესვლა და შეტევის უკნიდან დანყება. ორივეს მაღალი ტექნიკა, მოუდნის ხედვა და ბრწყინვალე პასი აქვს - ამასთან, არც შეტევების დაგვირგვინება ეშლებათ. თუმცა, „პინტურიკიო" ასაკში შევიდა, ისე ვეღარ დარბის, როგორც ათი წლის წინ და მის შემცველ ფიქრი სწორედაც რომ დროულია. ასე რომ, გამორიცხული არაფერია.

რადგან „იუვენტუსზე" ვსაუბრობთ, აქვე ვთქვათ **ფაბიო კვალიარელას** შესახებ, რომელმაც გასულ ტურში „ბიანკონეროს" მაისურით თავისი პირველი გოლი გაიტანა. იტალიის ნაკრების ფორვარდის თქმით, გუნდი ნელნელა მედის ფორმაში და შედეგებიც მალე გაუმჯობესდება:

„ტურად უკეთესად ვითამაშეთ, ვიდრე პირველ პაექრობაში და ეს გულშემატკივრებმა ტაშით დაგვიფასეს. ვფიქრობ, რომ სწორ გზას ვადგავართ და თუ ასე გავაგრძელეთ, ძალიან მალე, რადიკალურად განსხვავებული შედეგები გვექნება. რა დასამალია და პირადად ჩემი თამაშითაც კმაყოფილი ვარ - ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს „იუვენტუსში" წლები ვთამაშობ. ერთი სიტყვით, კმაყოფილი ვარ და მომავალს იმედით ვუყურებ".

ლაშა წიკლაური



ანტონიო კასანო

ავტორები ნაკრებს: ალა მორგოშია, ილია ბაბუნაშვილი, დავით გურაშვილი, ელიშერ გერაძე, ლაშა გაბუნია, გაგა გოგორიანი, დავით ლორხიანი, ლოგა ჯანიაშვილი, ლელა ჯინჯიხაშვილი, სოსო სიჩინავა, ნინო რუხაიაშვილი...

სკანდალის კვალდაკვალ

რეინჯ როვერების შერიგება

უეინ რუნი ცოლს შეურიგდა. ინგლისურმა ტაბლოიდებმა 24-საათიანი მორიგეობა დაანყეს და დააფიქსირეს, რომ რაც რუნებმა გარშემო სკანდალი ატყდა, ვარსკვლავის მეუღლე პირველად მივიდა ჩეშირში მდებარე 4 მილიონ ფუნტად ღირებულ სახლში. ეს დაახლოებით პირველის ნახევარზე მოხდა. კოლინი თავისი ჩრინჯ როვერით" იყო. მან სპარტულადან ტანსაცმელი გადმოიტანა - მოსულიდ, დაბრუნდა. დაახლოებით სამის თხუთმეტ წუთზე კი სახლს მეორე „რეინჯ როვერიც" მიადგა. ეს უკვე უეინის მანქანა იყო. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდს დილით ვარჯიში ჰქონდა. მაღე კოლინის მშობლებმა დედ-მამას ეთი თვის ბიჭუნა **კაიც** მოუყვანეს. შემდეგ, ექვსის ნახევარზე, უეინი კიდევ სადღაც გავიდა და ასე შემდეგ - წვეულებრივი ცხოვრება გაგრძელდა.

მაშ ასე, შეურიგდნენ, მაგრამ როგორ? რამ მოუტანა კოლინ რუნის გული? ბარემ შეგახსენებთ სკანდალის მიზეზსაც: გაზეთებში დაიბეჭდა, რომ ცოლის ფეხმძიმობის დროს უეინი მას მეძავთან ღალატობდა.

როგორც გაირკვა, კოლინის გულის მოლბობაში თავისი როლი უეინის მოკრიტიკებულ მეგობარ ჯონ ტერიმაც ითამაშა. ცნობილი ფეხბურთელის ბოლო ამბავი ისაა, რომ ის ცოლს ბოდიშს უხდის და ისიც პატიობს. ეს ამბავი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ ფაქტია, რომ ორივე მხარე ამ ისტორიას ცდილობს, რაც შეიძლება მალე, ჩამოიშოროს თავიდან.

„ჯონ ტერიმ ჩემი ძალიან კარგი მეგობარია. ის ჩემი ოჯახის ნაწილია. ის ჩემი ბავშვების ნათლიაც არის

ტყვიის სროლა. არჩევნები

მსროლელობა ათინათში გაარკვეს

ფედერაციის პრეზიდენტად გია უდესიანი აირჩიეს

გია უდესიანი

ქპრილ მსროლელთა უთავობა დამთავრდა - გუშინ სასტუმროში „სიმპათიანში“ გამართულ საქართველოს სროლის სახეობათა ფედერაციის ყადაღადგლ საარჩევნებო არჩევნებზე ახალ ხელმძღვანელად **გია უდესიანი** აირჩიეს. ვადამდელი არჩევნების გამართვის საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც ორიოდ თვის წინ პოსტი ეკუთვნილი ნებით დატოვა ფედერაციის ძველმა პრეზიდენტმა **დავით ქარსელაძემ**.

უდესიანის კანდიდატურა ინტერესი თანხვედრის შედეგად შეირჩა - დელეგატების სპორტის სამსახურის ექსუფროსისა და კულტურის, ძველთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ყოფილ მოადგილეს თორმე ძალიან უყვარს სროლა, ოლიმპიურ ჩემპიონ **ნინო სალუქვაძის** ტრის ხშირი სტუმარია და მსროლელთასთვის თორმე ხელიც გაუმართავს. ეს ურთიერთობა მხარეებს შორის კანდიდატურაზე შეთანხმებით დასრულდა, საბოლოოდ კი ყველაფერი „სიმპათიანში“ გაფორმდა, სადაც უდესიანის 29-ეე დელეგატმა დაუჭირა მხარი. აქვე ეტყობით, რომ არჩევნებში სხვა პრეტენდენტი არც ყოფილა.

ახალმა პრეზიდენტმა უმთავრეს საქმედ ოლიმპიური ბაზის მშენებლობა მიჩნია, რაც მსროლელებისთვის დიდი ხანია „ძვრისტის პერანგად“ იქცა - ჯერ იყო და, ბაზისთვის ადგილის გამოყოფა გახდა პრობლემა. მერე, როგორც იქნა, ტერატორია გამოიძებნა, მინა ფედერაციას დაუკანონდა, მაგრამ ინვესტორის მოძებნას არ დაადგა საშველი, ბაზის ასაშენებლად საჭირო საქმაოდ სოლიდური თანხა ვერც ხელისუფლებამ მოიძია ბიუჯეტში და საქმეც ერთ ადგილზე გაიყინა. ამას ისიც დაემატა, რომ მესხეფლურებისა და ტყვიის მსროლელების ბაზებისთვის ცალ-ცალკე, ქალაქის სხვადასხვა მხარეს გამოჰყეს - მესხეფლურებს საქონი ნაკეთო ვარკეთილა და ვაზისუბანს შორის მდებარე დღესახლებულ ტერატორიაზე მიეჩინეს, მსროლელებს - ავჭალაში. სპორტსმენებს თავიდანვე საერთო ბაზა ხვედათ, თუმცა, ოლონდ მშენებლობა დანყებულიყო და ამაზეც ყაბულს იყენებნ. საბოლოოდ ადგილის პრობლემა მათ სასარგებლოდ გადაიჭრა - ვარკეთილში იმ 4 - ჰექტრიან ფართობს კიდევ 3 დაემატა და 7-მდე გაიზარდა, რაც საშუალებას იძლევა, ყველა ბაზა ერთად აშენდეს. დაგეგმილიმბებით, ფედერაციისთვის გაცილებით უკეთესია, თუ ყველა ერთად ცყოლება - ეს ბევრ პრობლემას ააცილებს თავიდან. ახლა მთავარია, საქმე ადგილიდან დაიძრას და მშენებლობა დაინყოს. უდესიანის თქმით, არქიტექტორებთან პროექტი უკვე შეთანხმებულია და იმედოვნებს საქმის დანყებას, რაშიც კერძო ინვესტიციებთან ერთად ოლიმპიური კომიტეტის და სახელმწიფო სტრუქტურების, კერძოდ კი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსი ეიმედება. „იარაღი ძალიან მოყვარს და ამ ფედერაციის ხელმძღვანელად განსაკუთრებული შემართებით მოვედიკარ. ძალიან მინდა, გეგმები ბოლომდე მივიყვანო და სანქართველოში სროლის სახეობათა განვითარებას-პოპულარიზაციასთვის ჩანაფიქრი სრულად განვახორციელო. ცხადია, მთავარ პრობლემატად ოლიმპიური ბაზის აშენებას ვისახავ. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ფედერაციის მერიას, რომელმაც ვარკეთილში ჰექტარი მინის ფართობი გადმოგვცა. ბაზის პროექტზე მუშაობა უკვე მიმდინარეობს. ახლა მთავარია, განვახორციელოთ კერძო ინვესტიციია. ასევე დიდი იმედი გვქონდა სპორტის სამინისტროსა და ოლიმპიური კომიტეტის“, - განაცხადა ახალმა პრეზიდენტმა. მისი თქმით, ეს ბაზა თანამედროვე სტანდარტებისა იქნება, სადაც დიდი ტურნირების ჩატარებაც გახდება შესაძლებელი. უდესიანი აბირებს, მჭიდროდ ითანამშრომლოს ძალოვან სტრუქტურებთან - თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან. ახალმა პრეზიდენტმა შეგდგომ ისიც დასძინა, რომ თუ წელინნაწილებამდე დასაზულ გეგმებს ვერ შეასრულებს, თანამდებობიდან გადადგება.

ახალ არჩევნებთან დაკავშირებით კი სროლის, როგორც სპორტის სახეობის მნიშვნელობაზე კომენტარი ნინო სალუქვაძემაც გააკეთა: „ჭეეს ისეთ გეოგრაფიულ არეალში ვართ, ძალიან მნიშვნელოვანია, ტყვიის სროლა სპორტის განვითარებული სახეობა იყოს. ყველა თუ ვერ გახდება დიდი სპორტსმენი, ქეეყნის თავდაცვისათვის მომზადება ყველი მოქალაქე მაინც იქნება“. სალუქვაძემ ბაზის ინსაცე გაუსვა, რომ პრობლეეების მოუხედავად, არის გარკვეული წინსული ახალგაზრდები, რომლებსაც ხელის შეწყობა სჭირდებათ და შედეგებიც ექნებათ. მანაც გამოთქვა იმედი, რომ, თუ ოლიმპიური ბაზა აშენდება, ამით ბევრი პრობლემა გადაიჭრება.

რეგიგრაციე ცროლობის დღის წესრიგში ბევრი საკითხი არც ყოფილა. არ იყო აღსანიშნელი სტრუქტურების ან სხვა ხელმძღვანელი პირთა არჩევის საკითხიც. სხდომის ბოლოს ცროლობის მონაწილეებმა ფედერაციის მუშაობა შეაჯამეს და ახალ პრეზიდენტს წარმატებები უსურვეს.

ირაკლი თუთაძე
თამუნა ჯულუმბეგაშვილი
(www.sport.gov.ge)

ძიუდო. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

ახალგაზრდები გულგარეთისკენ დაიძრნენ

ქუდოისტება მსოფლიოს ჩემპიონატი ეს-ესაა, დამთავრდა - ჩვენები ჯერ არც დაბრუნებულან იაპონიიდან, ხვალ დილით ჩამოდიან, პარასკევს კი ამ რანგის პირველობა უკვე ახალგაზრდებს შორის დაინყება ბუდაპეშთის დედაქალაქ სოფიაში. ჩვენი ვაფთა ნაკრების თავკეცმა **სოსო ლიპარტელიანმა** ბუღალტერში ეს შემდგეღლობა ნაიყვანა: **თოარ კაიდარაშვილი** (55), **შმაგი ლაგაზაური** (60), **ლაშა შავდათუშვილი** (66), **ბეთქილ აფრასიძე** (73), **ავთანდილ ქრქიაშვილი** (81), **გიორგი ნოზაძე** (90), **მიხეილ ნარიმანიძე** (100), **ლევან მატიაშვილი** (+100).

თავიდანვე გეტყვით, რომ შემადგენლობაში ვერ მოხვედ ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩარმპიონი ვიცე-ჩემპიონი **არჩილ მინდიაშვილი** (90). მან ბოლო შესარჩევ ტურნირზე - პრალის ახალგაზრდულ ევროპის ფინალში ვერ მოახერხა ფინალში მოხვედრა და ამ ნონაში არჩევანის გაკეთება ბოლო შეკრებისთვის გადადო. მზადების დასკვნით ეტაპზე კონკურენციაში ერთმანეთს ორმა ახალგაზრდა ქუდოისტმა - ბეთქილ აფრასიძემ და ავთანდილ ქრქიაშვილმა გაუსწრეს. ისინი მანამდეც ერთმანეთს ხვდებოდნენ ერთ-ერთ ტურნირზე და ორივე ბრძოლა ქართველმა ქუდოისტმა ბეთქილ აფრასიძემ მოიგო. ამ ორ ბრძოლას შორის ერთ-ერთი ტურნირის ფინალში ბეთქილ აფრასიძე დამარცხდა და ავთანდილ ქრქიაშვილმა ფინალში

ცხენოსნობა. მსოფლიოს თასის ეტაპი

კახაბერ კიკიანი

ახლა კახაბერ კიკიანი

ცხენოსნობაში მსოფლიოს თასის გათამაშება დაბრკოლებათა გადალახვაში რეგლამენტურ ეტაპებად ტარდება და დიდი პოპულარობით გამოირჩევა. კაჟასიის ლიგა ოთხ შიდა ეტაპს მოიცავს — ორი ტარდება თბილისში, ორიც — ბაქოში. ამიერკავკასიიდან სტაბილურად აზერბაიჯანისა და საქართველოს მხედრები გამოდიან სარბიელზე, მონაწილეობენ გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის და ბულგარეთის ნარმომადგენლები. ლიგურულ ბულგარეთიდან ერთი სპორტსმენი ორი ცხენით ჩამოვიდა საასპარეზოდ. აზერბაიჯანს 9 მონაწილე და 16 მერანი ჰყავდა, საქართველოს — 6 მხედარი და 10 ცხენი. აზერბაიჯანელთა რიგებში მათ ცხენზე მოასპარეზე ერთი რუსეთის მოქალაქეც იყო — გენადი გაშიბაიზოვი.

თბილისში დელისის იპოდრომზე წლეულს კავკასიის ლიგის შეჯიბრება მეორედ ჩატარდა, ერის. ბაქოს უმასპინძლა და მეოთხეც იქვე გაიმართება ოქტომბერში. ცხენთა რაოდენობა მხედრებისას რომ სჭარბობს, ეს მსოფლიოს თასის გათამაშების დებუღეებთაა დამეხული — ერთ მხედარს რამდენიმე მერანი ასპარეზობის უფლება აქვს. ასე რომ, ერთსა და იმავე სპორტსმენის ერთ პროგრამაში ორ საპრიზო ადგილზე გასვლა, რასაც ტექნიკურ შედეგებში ნახავთ, ამითაა გამოწვეული.

გაგაცნობთ საპრიზო ხუთეულს

ახალგაზრდა ცხენოსნები შეჯიბრება 2 ფაზად: 1. მაღება გაჩეჩილაძე, 2. კახაბერ კიკიანი (ორივე-საქართველო), 3. სარდარ ალიბაევი (აზერბაიჯანი), 4. ცოტნე თავაძე (საქართველო). ოთხივე მხედარმა უშეცდომოდ დაამთავრა შეჯიბრება (ადგილები სისწრაფის კოეფიციენტით განისაზღვრა). 5. რაჰიბ ისმაილოვი — 5 საჯარიმო ქულა.

კონკური. ალსახი-2: 1. კანან ნავრუზოვი (აზერბაიჯანი) — 2 საჯარიმო ქულა, 2. ზაზა ჩიგრეკაშვილი (საქართველო), 3. თავაძე, 4. გაჩეჩილაძე, 5. ალიბაბაევი (2-5 ადგილები ფროის კოეფიციენტით განაწილდა, ოთხივე მხედარს 8-8 საჯარიმო ჰქონდა).

ფინალი: 1. ნავრუზოვი–4, 2. თავაძე, 3. გაჩეჩილაძე, 4. ისმაილოვი (სამივეს 8-8 საჯარიმო, ადგილები დროის კოეფიციენტით განაწილდა). 5. ალიბაბაევი–12.

ძირითადი ცხენებით შეჯიბრება 2 ფაზად: 1. ჰიკმეტ მუსაევი (აზერბაიჯანი), 2-3. სეიდ მუსაევი, 4-5. კიკიანი. 1-4 ადგილზე გასულმა მხედრებმა უფარგლოდ განვლეს მარშრუტი. მეორე ცხენით მე-5 ადგილზე გასულ კიკიანს 4 საჯარიმო ქულა ჰქონდა.

დაბრკოლებათა გადალახვა მზარდი სირთულეებით (ჯუკერი): 1-2. სეიდ მუსაევი, 3. ვენცებე ტენეე (ბულგარეთი. ორივე მხედარმა 44-44 ბალი დაიმახსოვრა და ადგილები დროის მიხედვით განაწილდა), 4. გიორგი თოხაძე (საქართველო), 5. გაჩეჩილაძე (ორივეს 43-43).

მთავარი პრიზი (გრან-პრი). 12 დაბრკოლება, 15 ნახტომი: 1. კიკიანი (ცვლა ნიხალობა უშეცდომოდ დაძლია. 1 საჯარიმო მიიღო 2 წამით საკონკრეტო დროის გადამტკიცებისთვის) 2. ტენეე - 3 საჯარიმო ქულა. 3. თოხაძე–4, 4. ჯიკანი–9, 5. გაშიბაიზოვი–10.

„საქართველოს ცხენოსნობის ერთგული ფედერაციამ ახალი ხელშძღვანელობის (პრუზიდენტი დავით კეზერაშვილი) მოსვლის შემდეგ მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესდა. გერმანიაში შეძენილი ჯიშიანი მერნებით შეივსო სპორტული ცხენების საჯინიბო, იმპორტ შედგებამ. იგივე მსოფლიოს თასის ეტაპზე შარშან საქართველოდან პირველმა შალვა გაჩეჩილაძემ მოიგო მთავარი პრიზი, ამჯამად კი უკვე მეორე მხედარი დაეუფლა გრან-პრის", — გვითხრა ცნობილმა ვეტერანმა მხედარმა, ასპარეზობის მთავარმა მდივანმა **ალექსანდრე დეკეზაძემ.**

შეჯიბრების მთავარი მსაჯი იყო გერმანელი **ოლაფ პეტერსონი** რომელიც ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფეი) მოაელინა. მის გარდა ფეიდან წარმოდგენელი იყო კიდევ ოთხი სპეციალისტი — ერთი პოლონელი, ერთ თურქი და ერთიც ირანელი. სტუმრები ქმაყოფილი დარჩნენ ასპარეზობის დონით.

თორნიკე ბარეჩილაძე

ქადრაკი

სტუდენტური ჭადრაკის ზეობა ციურიხში

ორიოდე დღის წინ ციურიხში დამთავრდა მოჭადრაკეთა სტუდენტიური საერთაშორისტურო ჩემპიონატი, რომელშიც, როგორც ქომაგებმა უკვე იცით, საქართველოს წარმომადგენლებმა გუნდურში მეორე ადგილი დაიკავეს, ხოლო ინდივიდუალურ შეჯიბრებებში ორი პრიზიორი მოიპოვეს. გუნის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ **სოფიო გურამიშვილს, დავით ბენძეს, თამარ წერეთელსა** და **მალხაზ სულაშვილს** შეხვედრა მოუწყვეს. მედალოსნებს ნარმადება ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გაორგაძემ** და საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის თავკაცმა **ნიკოლოზ ამაშუკელმა** მოულოცეს.

გია გაორგაძე: ქართული საჭადრაკოს სკოლის წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ ისახელეს თავი. გუნდურ ჩათვლაში ისინი მონგოლების ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და მეორე ადგილს დასჯერდნენ. რას იზამ, ყველგან და ყოველთვის პირველი ვერ იქნებით. ერთი ვერცხლი და ორი ბრინჯაო კარგ შედეგად მიმაჩნია. ახალგაზრდა მოჭადრაკეების ეს ნარმატება, შესაძლოა, ეროვნული პრელუდიაც კი გამოდგეს მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადისა, რომელიც რუსულ ხანტი-მანსიისკში 21 სექტემბერს დაინყება. იმედია, სამომავლოდ მეტ გამარჯვებას ვიზეიმებთ.

ნიკოლოზ ამაშუკელი: მსოფლიო უნივერსიადების შუალედებში სპორტის სხვადასხვა სახეობაში საუნივერსიტეტო მსოფლიოს ჩემპიონატები იმართება. წლეულს ჩვენ ორ სახეობაში გადავწყვიტეთ მონაწილეობა. მოჭადრაკეებმა ნამდვილად გვასახელეს ციურიხში. დიდი მადლობა მათ ასეთი შედეგიანი თამაშისათვის. გულდასწყვეტი მხოლოდ ის არის, რომ გუნდურსა და ქალთა პირად პირველობაში ოქროს მედლებამდე ნახევარ-ნახევარი ქულა დაგვაკლდა. ჩვენი დიდოსტატებისა და საერთაშორისო ოსტატების ეს ნარმატება ნამდვილად სტიმულია სხვა სახეობის სპორტსმენებისათვის, რომლებიც მსგავს შეჯიბრებებში იასპარეზებენ. მოჭადრაკეებმა, ასე ვთქვათ, თამასა საკმაოდ მაღლა ასწიეს, მაგრამ მისი დაბალ დაშვება არაფრით იეარებენ. ოქტომბერში მოკრივეები გამოვლენ მსოფლიო საუნივერსიტეტო ჩემპიონატში, იმედია, ისინიც გვასახელებენ.

სოფიო გურამიშვილი: მედეგით ქმაყოფილი ვარ — ოთხი პარტია მოვიგე, 5 მეტოქეს დავუზავდი და ნაუგებად სერ დრლეეიჩთან ერთად მეორე მესამე ადგილები გავიყავი. უარესი კოეფიციენტით „ბრინჯაო" მერგო. განსაკუთრებით დამამახსოვრდა გამოდგა გადამწყვეტი შეხვედრა მონგოლ დიდოსტატ **ბათჩოგვა ტუვშინთუგსთან.** მართალია, დებიუტში ერთგვარი უპირატესობა მიგიღე, მაგრამ ენდშპილში ისეთი პოზიცია შეიქმნა დაფაზე, რომ ცალტნობაში არ ვიცოდი რა მექნა. მადლობა ღმერთს, ყველაფერი წემოვის სასიკეთოდ წარიმართა — ორმა კუმ და გამარჯვება პაიმა გამარჯვება და მედალი მომიტანა.



ბუდაპეშტში მოსკოვში დაინყო მოჭადრაკე ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატი ბლიცში. შეჯიბრება სამ რაუნდად ეწყობა. პირველი ეტაპი მეოთხედფინალისტებს დაეთმოთ. პაექრობაში რუსეთისა და ყაზახეთის 26 წარმომადგენელი ჩაება. დებუტანტით, თითოეულს 3 ციურიხში, ჩემთა სასიამოვნოდ, ერთი მნევაე პრობლემაც მოვკარით: კარგა ხანია, ავსტრიიდან მინვევა მიეიღე — „ხალცბურგთან" ერთად იქაურ ბუნდესლიგაში უნდა მეთამაშა, მაგრამ წვეინას ამ ქეეყნის საელჩო არ არის და ვიზის პრობლემა ვერ მოვაგვარე, რის თაობაზეც ვაცნობე კიდეც კლუბის ხელმძღვანელობას. ჩემპიონატზე 9 სექტემბერს დასვეწების დღე გაქონდა. გერმანიიდან „ხალცბურგის" ნვერმა გრეგორი პიტლიმ ჩამომაკითხა და ციურიხში ავსტრიის ვიზის პრობლემა ერთ საათში მომიგვარა. ასე რომ, ნოემბერში ბუნდესლიგის პაექრობებში მიეიღებ მონაწილეობას. მანამდე სხვა ტურნირებზე გამოვალ. კერძოდ, 20 სექტემბრიდან კვიპროსის საერთაშორისო ტურნირში ვითამაშებ, 4-14 ოქტომბერს ჯერმუკში (სომხეთი) კარენ ასრიანის მემორიალზე ვარ მინვეული, პირველი დეკემბრიდან კი ესპანეთს გავემგზავრები და იქაურ ტურნირებში ვიასპარეზებ. გადანყვეტილი მაქეს ახალ ნლამდე ვეფთა საერთაშორისო ოსტატის მესამე ნორმა შევასრულო და პირადი რეიტინგი 2400-მდე გავზარდო.

თამარ წერეთელი: მსოფლიო საუნივერსიტეტო ჩემპიონატში პირველად 2004 ნელს ვითამაშე სტამბოლში. მაშინაც გუნდურში ბაადერ ჯობავასთან და ლევან აროშიძესთან ერთად რუსების შემდეგ მეორე ადგილი დავიკავე, პირად პირველობაში კი მესამე-მეოთხე ადგილები გავიყავი. ინდივიდუალურში ამჯერადაც ახლოს ვიყავი მედალთან, მაგრამ ბოლო ტურში სერბ ლილია დრლეევიჩთან ძალიან ცუდად ვითამაშე და დავმარცხდი. არადა, ნარმატების შემთხვევაში, მეორე ადგილზე გავდიოდი და ჩვენ ნაკრებიც ჩემპიონობას მოიპოვებდა. სანუგეშოდ, გუნდურ ვერცხლთან ერთად ჩემპიონების საუკეთესო პარტიისთვის მიღებული პრიზი დამრჩა.

დავით ბენძე: ჩემპიონატის შედეგებით მეც კმაყოფილი ვარ. არადა, ტურნირზე რეიტინგით მეთორმეტე ვიყავი და მესამე ადგილზე კი გავედი — 5 პარტია მოვიგე, 3 ყაიმით დავამთავრე და ერთხელ დავმარცხდი, თანაც ჩინეთის ნაკრების წევრ ვან იუქსთან, რომლის რეიტინგია 2732; მობარყეო ვარ იმითაც, რომ დიდოსტატის ბალი პირველად შევასრულე. ასეთი მასშტაბის საერთაშორისო ტურნირზე უფროსებში პირველად ვიასპარეზე და ორი მედალი დავიმასპინძლე. ვფიქრობ, დებიუტისთვის ურიგო არ არის.

— ჩემპიონატზე როგორი პირობები გქონდათ?

— შესანიშნავი, თუმცა, მე და მალხაზ სულაშვილი კურორტს ვერ ვაცქცით. 9 სექტემბერს დასვეწების დღე გვქონდა. კვების ორ-ორი ვაუჩერი დაგვირგვეს. ვიხშმისას სასადილოში რომ მივედით, უარით გამოგვიცხადეს — თქვენ უკვე ორჯერ მირთვით საჭმელი და შესამედ აღარ გეკუთვნითო. რა უნდა გვექნა. ახლო-მახლო რესტორანი არ იყო. რომ ვბძობდით, სად ნავსულიყავით, ერთი შუახნის მანდილოსანი მოგვიახლოდა და ქართულად გვკითხა — ძალიან გშიათ, ბიჭებოო? საბუთად ყოფილა, თურმე, ციურიხში ჩასული. დაგვანახა, ქართული ხუთეულიანი დროშაც გვაჩუქა და გვთხოვა, ქართველები არ შეგვარცხვინოთო. სურვილი შეეტყო — ჩემპიონატზე სამი მედალი დაეიმასხურეთ.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

გია გაორგაძე (მარცხნივ), ნიკა ამაშუკელი

მარცხნიდან: მალხაზ სულაშვილი, თამარ წერეთელი, სოფიო გურამიშვილი, დავით ბენძე

მსოფლიოს ჩემპიონატი ბლიცში

გუნდის ინტერესებს ანაცვალა

წუთი მიეცა ყოველ სულზე 2 წამის დამატებით. შეეიცარიული სისტემით ოერომეტტურნიმს ასპარეზობამ გამოავლინა ის 20 მოჭადრაკე, რომლებიც დღეს დანარჩენ 40 ნახევარფინალისტთან ერთად გადამწყვეტი ეტაპის ნ საგზურისთვის იბრძოლებენ. 8 ქულით პირველი ადგილი **ევგენია სუხარევამ** დაიკავა. გამარჯვებულის ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ **მარია ფომინინი, ევგენია მუზრუკაოვა** და **ევგენია ჩაროვნიკოვა,** რომლებმაც მეორე-მეოთხე ადგილები გაინაწილეს.

დღეს 13-ტურიანი ნახევარფინალური ბატალიები დაიწყება და ხვალ დამთავრდება. ამ ეტაპზე ორი ქართველი დიდოსტატი იყო დაშვებული - **სალომე მელია** და **სოფიო გვეტაძე.** სალომემ წლეულს საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა და ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი. ბლიცში მსოფლიოს ჩემპიონატზე მალლა მან გუნდის ინტერესები დააყენა და მოსკოვში გამგზავრებაზე უარი თქვა. ახლა იგი ხანტი-მანსიისკისთვის ბაზალეთზე ემზადება, გვეტაძე კი ფინალში გასასვლელად იბრძოლებს, სადაც პერსონალურადაა მიწვეული **ნაზი პაიკიძე.** ჩემპიონისა და პრიზიორების ვინაობას 18 სექტემბერს შევიტყობთ.

ვაჟა დანელია

სპორტული თემის გაგრძელება
მე-12 გვერდზე

● კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

არმია მოლის

ერომენული ნაკრების წარმატებულმა თამაშმა შეიძლება, მიდი ჩემპიონატსაც უმეცნოს. სექტემბრის დასაწყისში მოწყობილი პრეზენტაციაზე საჩემპიონო ამბიციებით წარდგა შსს. ამის შემდეგ, რამდენიმე დღეში, ოთხ უნივერსიტეტს საკალათბურთო გუნდებისთვის 200-200 ათასი ლარის გამოყოფა დაჯილდა. გამოფენზლდნენ ბათუმელებიც და ქუთაისურებიც. ახლა კი მორიგი სიახლე შეეხებოდეთ: ხუპერლიგაში სათამაშოდ თავდაცვის სამინისტროს გუნდი ასკ ქმნადება.

ასკ-ს შესახებ უფრო დაწვრილებით უახლოეს დღეებში მოგითხრობთ.

ვაჟა სიმონიშვილი

მარკოშვილის 16

სანიკიძე: სუპერთასის მოსაგებად მზად ვარ

სპორტელებს ნაკრების იტალიაში მოთამაშე წევრები აპენინებზე 5 სექტემბერს გაფრინდნენ. **მანუჩარ მარკოშვილი** «კანტუს" შეურთდა, **ვიქტორ სანიკიძე** - «ვირტუსს", ხოლო **ნიკა მეტრეველი** - «კრანჩს".

მანუ და ვიქტორი ამ კლუბებში შარშანაც თამაშობდნენ, მეტრეველი კი "მონტეპასის" კუთვნილებაა, თუმცა ახალ სეზონს იტალიის პირველობის მეორე ლიგაში, რომინის «კრაბსში" გაატარებს (ოყარის წესით).

■ ■ ■

საქართველოს ნაკრებში ნავარჯიშები კალათბურთელები იტალიურ გუნდებს კარგად მომზადებულები შეურთდნენ და ამხანაგურ მატჩებშიც გამოირჩნენ. დავიწყოთ «კანტუთი", რომელმაც მანუჩართან ერთად სამი მატჩის ჩატარება მოასწრო.

კანტუელებმა ჯერ ეგროლიგის შესარჩევი ეტაპის მონანილე ბელგიურ "შარლეროუს" უმასპინძლეს და დაბალ ბრძოლაში დაამარცხეს - 76:72. სანქართველოს ნაკრების უკანასკნელმა 9 ქულა ჩააგდო.

12-13 სექტემბერს «კანტუ" - "ზეპირის მემორიალში" ჩაერთო. შეკიბრებაში ოთხი გუნდი მონაწილეობდა. ნახევარფინალში მანუს თანაგუნდელები ქვედაფილეელ "პრიმა ვეროლის" დაუპრისპირდნენ და ბევრისთვის მოულოდნელად ფინალში ვერ გავიდნენ - 82:87. მანუმ თანაგუნდელებს 11 ქულა მიაჭირა.

მესამე ადგილისთვის მატჩში «კანტუმ" «ფილენი" 15 ქულის სხვაობით დაამარცხა - 77:62. ეს გამარჯვება პირველ რიგში მარკოშვილის დამსახურება, რომელმაც 16 ქულას მოუყარა თავი.

ასე რომ, "კანტუ" მემორიალზე მესამე ადგილს დასჯერდა.

■ ■ ■

ნიკა მეტრეველი «კრაბსში" კარგად მიიღეს. მან «კიბორჩხალების" ფორმა რიმინიში ჩასცლისთანავე მოირგო. სადებიუტო მატჩში მეტრეველმა უმალლესლიგელ «მონტეგრანაროს" წინააღმდეგ ოთახშაბა და 4 ქულა ჩაინერა.

„კრაბსმა" **„მონტეგრანაროსთან"** დაძაბულ ბრძოლაში 61:68 წაგება.

■ ■ ■

მარკოშვილის მსგავსად, პირველ მატჩში 9 ქულა ჩააგდო ვიქტორ სანიკიძემ. მის «ვირტუსს" "პისტოიას" ძლევა გაუჭირდა, ქვედალიგელთან სამი ქულის სხვაობით გაიმარჯვა - 72:69.

თამაშამდე გამოცემა «ბუტობასკეტის" ჟურნალისტმა ვიქტორ სანიკიძეს მცირე ინტერვიუ ჩამოართვა, რომლის თარგმანსაც აქ შემოგთავაზებთ.

- - მოუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებთან ერთად რთული მატჩებს ჩაგარებამ მოგინია, დაღლილი ნამდვილად არ ვარ. ჯერ ახალგაზრდა გახლავარ. «ვირტუსთან" ერთად აქტიურად ვემზადები და იმედი მაქვს, რომ სუპერთასის მატჩს სათანადო კონდიციებში შევხვდები - 10 აგვისტოს ხომ ურთულესი შეხვედრა გველის, სიენას «მონტებასკის" ვეთამაშებით. მონონელებთან რამდენიმე ვარჯიში ჩავატარე, თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ საერთაშორისო ენერგია და ენთუზიაზმი. ზოგიერთის აქამდეც ვიცნობდი, ზოგს პირველად შევხვდი, ზოგადად დადებითი შთაბეჭდილება შემექმნა. ახალნეგიულებზე მწვრთნელებმაც პოზიტიური ილაპარაკეს. ასე რომ, ახალგაზრდა, სწრაფი და ენერგიული გუნდი გველოება.

- რას ელი მომავალი სეზონისგან?

- ახალგაზრდულ შემართებას ბუცილებლად უნდა დავუმთხოთ ხარისხიანი თამაში. ამის მიღწევა ერთობლივი მუშაობით შეიძლება - უნდა მეეთამაშოდეთ და შეეკრთო. მე კი მინდა, იმაზე მეტი გავაკეთო, ვიდრე გასულ სეზონში...

- მწვრთნელ ლარდო ლინოსთან სასტარტო ხუთეულის შესახებ თუ ისაუბრე?

- მწვრთნელთან რამდენიმე საკითხზე ვეულაპარაკე. რაც შეეხება ხუთეულს, ლარდო ლინო გადასწვეტილებას მას მერე მიიღებს, რაც გუნდი ვარჯიშის შემდეგ ფორმაში შეკრება. ამას დრო სჭირდება. არსად გვეჩქარება.

- როგორ ფიქრობ, რას მიაღწევს «ვირტუსი" ახალ სეზონში?

- ძნელი სათქმელია. როგორც ალვნიშნე, გასული სეზონის მერე ჩვენი გუნდი საგრძნობლად შეიცვალა. ამასთან, მეტოქეების შემადგენლობებიც განხორციელდა ცვლილებები და ვიდრე თამაშები არ დაინყება, ვერავინ იტყვის, ვის როგორი გუნდი ეყოლება. თუმცა ყველაფერი მაინც ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

- 10 ოქტომბერს სუპერთასზე იტალიის ჩემპიონ „მონტეპასის" დაუპირისპირდებით...

- თანაგუნდელებთან ერთად სუპერთასის მოსაგებად ვიბრძოლებ. როცა მოედანზე გადიხარ, საკუთარი შესაძლებლობებსა უნდა გჯეროდეს. მეც მჯერა, რომ „მონტეპასის" ძლევა შესაძლებელია. უძლეველი არავინაა. «ვირტუსის" მდიდარი ტრადიცია აქვს, რაც მოტივაციას გვმატებს.

ვაჟა სიმონიშვილი



ვიქტორ სანიკიძე

● ჯადრაკი. მეტოქეები

ისინიც მეღლებისთვის იბრძოლებენ

წლევანდელი მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა, რომელსაც 21 სექტემბერიდან ხანგი-მანსიისკი უმასპინძლებს, მხოლოდ ქალთა და ვაჟთა გუნდების რიცხვითა და მონაწილეთა რაოდენობით ორად იქნება საჭიროდო. საგულისხმოა, რომ შეჯიბრებაში 310 დელეგატი (247 ვაჟი და 63 ქალი) და 247 საერთაშორისო ოსტატი (160+87) ითამაშებს. ელოს კოეფიციენტით 2700-იანთა კლუბის 37 წევრიდან ოლიმპიადაზე 36 მონაწილეობს ძალებს, 117 მოჭადრაკეს 2600-ზე მაღალი კოეფიციენტი ექნება.

ვაჟთა ტურნირში საშუალო რეიტინგით მესამეა ეგროპის შარშანდელი ჩემპიონი ზურაბ აზმაიფარაშვილი კაპიტნობს. ჩვენი მეზობლების სპორტული ღირსებას დაიცავენ **შაჰრიარ მამედიაროვი** (2756), **თეიმურ რაჯაბოვი** (2748), **რაუფ მამედოვი** (2660), **გადირ ჰუსეინოვი** (2611), **ზვიად მამედიაროვი** (2607). ქალთა გუნდის შემადგენლობაში ითამაშებენ: **ზვინან მამედიაროვა** (2234), **გურან მამედიაროვა** (2301), **ხაიალა ისაქბაროვა** (2172), **გულნარ მამაგოვა** (2293) და **ნარგიზ უმუდოვა** (2251). როგორც ზედავთ, აზერბაიჯანის ვაჟთა და ქალთა გუნდებს ერთი და იგივე ტრენერი ჰყავთ - ვიქტორ ბუხოვიჩი.

ოლიმპიადის ისტორიაში ყველაზე მეტი ოქროს მედალი აზერბაიჯანელ ჭადრაკელებს აქვთ მოპოვებული - 5. ამ ქვეყნის ჭადრაკელებმა ბოლო ოლიმპიადაზე ბრინჯაოც მოიპოვეს. ამ ქვეყნის ჭადრაკელებს ბევრი ტიტული აქვთ მოპოვებული, მაგრამ ჩემპიონატი ჯერ არ მოუგიათ. ქალები მაღალი რეიტინგითაც და შეჯეგებით არ გამოირჩევიან, თუმცა ნებისმიერს წააგებინებენ ხოლმე. ამ ქვეყნის ჭადრაკელებს ნებისმიერ გუნდისათვის შეუძლიათ სორპრიზის შეთავაზება, როგორც ეს შარშან მოხდა ეგროპის ჩემპიონატზე: სწორედ აზერბაიჯანელ მანდილოსნებთან ფრემ დააკარგინა საქართველოს ქალთა ნაკრებს ოქროს მედლები.

ხანგი-მანსიისკში ჯილდოებისთვის მებრძოლთა შორის იქნებიან ჩინელები. განსაკუთრებით მანდილოსნები უნდა გამოვყოთ, რადგან ჩვენს ქალბატონებს ისინიც გაუწევენ კონკურენციას. ნაკრებში ახალგაზრდა **ჰოუ იფანი** (2578) გამოირჩევა, რომელიც ქალთა საუკეთესო ასეულში რეიტინგით მესამეა, ხოლო ფიდეს გრან-პრის გათამაშებას კი სულაც მენინავეობს. მასთან ერთად გუნდში არიან: **იუ ვენიუნი** (2516), **ჟაო სიუ** (2469), **ჰუან ქიანი** (2436) და **ვენ იუ** (0). ვაჟთა გუნდს ღირსეულს ორი ისეთი მოჭადრაკეც დაიცავს, რომელთა რეიტინგი 2700-ს აღემატება. ერთ-ერთია ნლევანდელი მსოფლიოს საუნივერსიტეტო ჩემპიონობის გამარჯვებული **ვან იუე** (2732) და **ვან ჰაო** (2724). რუსთა ქალაქში ასევე ისპარეზებენ **ბუ სიანი** (2695), **ჟოუ ძიანჩაო** (2660) და **ლი ჩაო** (2633).

ბულგარეთის ქალთა ნაკრებს მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი **ანტანასტა სტეფანოვა** (2551) ლიდერობს. ვერ გეტყვით, ერთი მერცხალი რამდენად იქნება გაზაფხულის მომცავი, რადგან გუნდის დანარჩენი ნევრები საერთაშორისო სარბიელზე მაინცდამაინც არ გამოირჩევიან, თუმცა ნებისმიერს წააგებინებენ ხასიათს: **მარგარიტა ვოისკა** (2314), **ადრიანნა ნიკოლოვა** (2295), **ივა ვიდენოვა** (2283), **მარია ველჩევა** (2272). სამაგიეროდ, უფრო ძლიერია ვაჟთა ნაკრები მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის **ვესელინ ტოპალოვის** (2803) მეთაურობით. ცხადია, იგი პირველ დაფაზე ითამაშებს. მას პარტნიორობას გაუწევენ **ივან ჩეპარინოვი** (2661), **კირილ გეორგიევი** (2685) და **ალექსანდრ ფელჩინი** (2636) და კირიან **ბერზაბოვი** (2461).

ვაჟა დანელია

● სუმოს სამყარო. აკი ბაშო (ტოკიო). 12-26 სექტემბერი

ტოჩინოშინმა ერთი ჩემპიონი დააგდო, ჯერი მეორეზეა

ეგროპული სუმოს პიონერ **კოკას (ლევან ცაგარია)** რომ არ ნაეგო ტოკიოში, ქართველებს უნდა ელოთ ექნებოდათ - ყველა მოგება მემოდგომის ბაშოს სამი დღის შემდეგ. არადა, „შავი ზღვაც" ძალიან ახლოს იყო მოგებასთან: მე-9 მაგაძირა **ბუშუიამასთან** სასტარტო დავალების შემდეგ უკეთესი მდგომარეობა მოიპოვა, გვეგონა, მას იოლად გაუსწორდებოდა (ამამდე ურთიერთშეხვედრებში 7-1-ს უგებდა), მაგრამ რაკომძალა ფონს გასცა პატაკიამის ილეთით მოინდომა, მეტოქეს ხეირიანად ვერ გამოეცალა და იაპონელს შეატეხის საშუალება მისცა. კოკას ბალანსი 2-1-ია.

სამაგიეროდ, კვლავ იყოჩაღეს **ტოჩინოშინმა (ლევან გორგაძე)** და **გაგამარუმ (თეიმურაზ ჯღუნელი)**. მე-2 მაგაძირა ტოჩინოშინი კომუსუბის ტატეული დასაბრუნებლად იბრძოდა, ბაშოს მესამე დღეს მან ჩემპიონი (ოძეკი) **ჰარუმაფუჯი** დააჯილდა. 26 წლის მოწოლილ ლევანი შეექცესად შეხედა და მესამედ დაამარცხა. ქართველმა „მუშა" ცაციათი მოიგდო მეტოქის მავაში, ხოლო „ცოცრ ცხენს" იმავეს გაკეთების საშუალება არ მისცა. მონელოლმა ქართველის უკანტნაგე მოეგერია და თავად შიტატენაგეს ილეთი სცადა, მაგრამ ტოჩინოშინს ძერა ვერ უყო. ამის შემდეგ ლევანმა ენერგიათ გამოელილი მეტოქე უპრობლემოდ გაიყვანა დოპიოს რკალს მიღმა. 3-0 შესანიშნავი დასაწყისია.

2-ცენტნერიანმა გაგამარუმ ერთი ამოსუნთქვით გაიგდო დოჰიოდან ელიტის ყველაზე უხუცესი ნარმომადგენელი, ყოფილი სეკივაკე **ტოსანოუმი**. პირველ ბალანსი გაგამარუს, ტოჩინოშინს და კიდევ 4 ხუმოისტს ატარებს. ერთ-ერთია დიდი ჩემპიონი **ჰაკუშო**, რომელმაც ზედაზედ 50-ე გამარჯვება მოიპოვა. დასაყეთის პირველი მაგაძირა **ვაკანოსატოს** დამარცხება მას ოფიციალურ არ გასჭირვებია. ახლა ჰაკუშომ **ჩიონოფუჯის** რეკორდს (ზედიზედ 53 მოგება) და ვინ იცის, იქნებ საბოლო რეკორდად შერაცხულ მილვასაც (**ფუტებაიამა** - 69 მოგება) შეუტოს, ოლონდ ნოემბრის ბაშომდე ნუ გებლად უნდა გაძლოს.

ოძეკთაგან დაუმარცხებელი მხოლოდ ბუღგარელი **ცოტოროუ** რჩება, რომელმაც **ჰოშაოს** ხერხით აჯობა, როცა ლონით დაიჩაგრა. ამპონობაში ტოკიოს სასამართლოში საჩივარი შეეიდა - მოქალაქე **კეიჯი ტამია** (ექსთეკეი **კოტომეცუკი**) მოითხოვს, ალუდგინონ ძველი სტატუსი სუმოში. შეგახსენებთ, რომ კოტომიცუკი სუმოდან სამუდამოდ დაითხოვეს მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა მისი მონანილეობა არალეგალურ ტოტალიზატორში.

ტოჩინოშინის მეტოქე დღეს ბუღგარეთი ოძეკი კოტოროუ იქნება. ქართველს მაგაძირას სტატუსით 99 მოგება და 99 მარცხი აქვს. კოტოროუს ლეგენდარული ბიეძენი შეექცესედ შეხედა, ჯერჯერობით 2:3-ს აგებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ პირველი სამი ნაგების შემდეგ ქართველმა ბულგარელს ზედიზედ ორჯერ მოუგო.

„შავი ზღვა" მე-10 მაგაძირა **შიმტორის** (2-1) ეძღვება. ვეტერან ეფსკოშუტების დაპირისპირებაში ფრეა - 6:6. გაგამარუ კი მე-16 მაგაძირა **კოკუნანკის** (1-2) ზედება. კოკუნანკიან მალე 33 წლის შესრულდება და მოუხედავად ამისა, უმსლეესი დივიზიონის დებიუტანტია. მარტის ბაშოზე თეიმურაზი პირველად ეძღვება კოკუნანკიის და მძლავრი ოშიდაშით მოუგა.

III დღე: ჰაკუშო-ვაკანოსატო (ორიკირი), ბარუტო-ტოკიტენკუ (ოშიდაში), ტორნიძენი-კაიო (ოშიდაში), ტორნიძენი-შირუმფუჯი (ორიკირი), კოტოოშუ-შიმტორი (ორიკირი), კაკურიუ-არანი (ორიკირი), კისენოსატო-კოტომეცუკი (ორიკირი), კოკუუენკო-ტაკამისაკარი (ორიკირი), ამინიძიკი-ტოკურეგეცა (კატასუკაში), ჰაკუბა-ასასეკირიუ (ორიკირი), კიტატაკეი-მოკონი (ორიკირი), ტოსაიუტაკა-კიმურაიმა (ჰატაკეიკში), ბუშუიამა-კოკაი (ოშიდაში), ოიშიკეძე-ჰოკუტორიკი (ორიკირი), შიმოტორი-კოტოკასუგა (ორიკირი), კასუგაო-კორიუ (ორიკირი), სოკურური-ტაკეკაძე (ორიკირი), ტორნინოდა-კაკიძე (ოკურიდაში), ტოიოტაკურა-ტამაგავი (ოკურიდაში), გაგამარუ-ტოსანოუმი (ოშიდაში), მიაბიამა-კიოკუნანკი (ჰატაკიკში).

სატურნირო დოჰიომარეა

3-0: ჰაკუშო (იოკოტუნა), **კოტოოშუ** (ოძეკი), **ტორნიძენი** (შეეგადირა 2), **ოიშიკეძე** (მ 11), **კასუგაო** (მ 13), **გაგამარუ** (მ 15).

IV დღე: ჰაკუშო-შიმაშო, კაიო-ტოკიტენკუ, ჰარუმაფუჯი-ვაკანოსატო, კოტოოშუ-ტორნიძენი, ბარუტო-კოტოშოგიკუ, ტორნიძენი-კაკურიუ, კისენოსატო-არანი, კიოკუტენშო-ჰაკუბა, ამინიძიკი-მოკონდა, ტოკუსეგავა-ასასეკირიუ, ტაკამისაკარი-ციტატაკეი, ტოსაიუტაკა-ბუშუიამა, კოკაი-შიმტორი, კიმურაიმა-ჰოკუტორიკი, ოიშიკეძე-კასუგაო, კოტოკასუგა-კორიუ, ტაკეკაძე-ტორნინოდა, სოკურური-ტოიოტაკურა, ტამაგავი-ტოსანოუმი, კაკიძე-ვაკაბერო, გაგამარუ-კიოკუნანკი.

ნიკოლოზ ნებაურიძე

ერთი კაცის შოუ

პალო ჯიმშელაძე

ოცდათოთხმეტი წლის წინათ ავსტრალიის ნაკრების რვა ნომერმა გრეგ კორნელსენმა „ოლბების" ისტორიაში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ფურცელი ჩაწერა. მაშინ ავსტრალიის ნაკრებმა სტუმრად, ოკლენდში „ოლ ბლექსს" 30:16 მოუგო. კორნელსენმა იმ მატჩში ოთხი ლელო გაიტანა. საინტერესო იქნება, ისტორიას თვალი გადავაყოლოთ და გავიხსენოთ ის თამაშები, რომლებიც ერთი კაცის შოუდ მოინათლა.

ჯონა ლომუ, ახალი ზელანდია-ინგლისი 45:29, კეიპთაუნი, 1995 წელი.

ინგლისის ნაკრების ფუნქციამა **მაკი ქეთმა** რაგბიდან წასვლა ნელუელს გადაწყვიტა. ამის თაობაზე ერთ-ერთი ავსტრალიური გაზეთი ირონიულად წერდა: *„მას შემდეგ, რაც 1995 წლის მსოფლიო თასზე ჯონა ლომუმ გადაწვეება, მან რაგბიში კიდევ დიდხანს გაძლო".* იმ მსოფლიოს თასზე ლომუმ პირველად გაიბრწყინა და დღემდე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტსმენია.

კეიპთაუნში, მსოფლიო თასის ნახევარფინალურ მატჩში ახალი ზელანდიის ნაკრებმა ინგლისის ეროვნული გუნდი 45:29 დაამარცხა. ლომუმ მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანა. ამაოგან ერთი სწორედ მას შემდეგ გაიტანა, რაც ქეთი გზიდან ლანძრაკიევით ჩამოიშორა.

მორნი სტეინი, სამხრეთ აფრიკა-ახალი ზელანდია 31:19, დურბანი, 2009 წელი

ის 2009 წელს შესანიშნავ ფორმაში იყო. „ბლუ ბულს" მგეზავი 76 14-ის გათამაშებაშიც და ეროვნული ნაკრების მატჩებშიც გამორჩეულად ბრწყინავდა. დურბანში ახალი ზელანდიის ნაკრებთან დაპირისპირებამდე ერთი თვით ადრე **მორნი სტეინმა** ჩვეული ფეხბურთინობის წყალობით „პრატალელ ლომებს" შანსი არ დაუტოვა, როცა საბოლოოდ დაამტკიცა, რომ ძირითადში ადგილი სწორედ მას ეკუთვნის და არა ნაკლებად სტაბილურ **რუან პინარს.**

მერე სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა „ოლ ბლექსს" 31:19 მოუგო. ბოკეს ყველა ქულა მეგზავნა სტეინმა მოუტანა. მის ანგარიშზე ერთი ლელო, ერთი გარდასახვა და რვა საჯარიმოა.

იან დე ბირი, სამხრეთ აფრიკა-ინგლისი 41:22, პარიზი, 1999 წელი.

1999 წლის მსოფლიო თასის მეოთხედფინალში სამხრეთ აფრიკის მგეზავმა **იან დე ბირმა** პარიზის ასტად დე ფრანს-ზე" ინგლისის ეროვნულ გუნდს ხუთი არეკვნი (15 ქულა) გაუტანა, რითაც მნიშვნელოვნად განაპირობა მატჩის ბედი. თუმცა ის ამით არ დაამყოფილებულა - მის ანგარიშზე კიდევ ოთხი საჯარიმო და **იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენისა** და **პიტერ როსუს** მიერ გატანილი ორი ლელოს გარდასახვა. სულ - 34 ქულა.

დე ბირმა მსგავსი გმირობის გამეორება ნახევარფინალში ავსტრალიის ნაკრებთან ვეღარ შეძლო - მოშავალი მსოფლიოს ჩემპიონების მგეზავმა **სტივენ ლარკჰემმა** დაჩრდილა.

შეინ ვილიამსი, ბრიტანელი ლომები-მანავატუ 109:6, მანავატუ, 2005 წელი.

ეს მატჩი ერთადერთი ნათელი წერტილი იყო „ბრიტანელი ლომების" მიერ 2005 წელს სამხრეთ ნახევარსფეროში გამართულ წარუმატებელ ტურნეში. მანავატუში ევროპელებმა ადგილობრივი გუნდი დიდი ანგარიშით გაანადგურეს - 109:6. სტუმართა გუნდის უელსელმა გარემარმა **შეინ ვილიამსმა** ხუთი ლელო მიითვალა.

„ბრიტანელ ლომებს" ეს მატჩი, წესით, „ოლ ბლექსთან" მომდევნო თამაშისთვის მოსამზადებლად უნდა გამოეყენებინათ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, შანსი ვერ გამოიყენეს. ვილიამსმა ახალზელანდიელებთან ვეღარ გაიბრწყინა. სამაგიეროდ, შესანიშნავად ითამაშა „ოლ ბლექსის" მგეზავმა **დენ კარტერმა**, რომელმაც გუნდს 33 ქულა მოუტანა. ახალი ზელანდიის ნაკრებმა კი „ბრიტანელ ლომებს" 48:18 მოუგო.

მეთ ბერკი, ავსტრალია, 1998-2001 წლები

ავსტრალიის ნაკრების ოჯროს ხანაში, 1998-2001 წლებში, საუკეთესო მეკუთე ფულბეკი **მეთ ბერკი** იყო. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვისთან, სად და როგორი პოზიციიდან ურტყამდა. მისი ნებისა ყოველთვის შეიძლებოდა. რომელი ერთი თამაში გავიხსენოთ: 1999 წელი, შინ ახალი ზელანდიის ნაკრებთან - 23 ქულა. იმავე წელს მსოფლიო თასის ნახევარფინალში სამხრეთ აფრიკასთან-24 ქულა, ფინალში საფრანგეთის ნაკრებთან - 25 ქულა. 2001 წელი, მეორე ტესტი „ბრიტანელ ლომებთან" - 25 ქულა.

ის იყო წყნარი, უპრეტენზიო კაცი და თავის საქმეს მუდამ ბეჯითად აკეთებდა.

მარკ ელისი, ახალი ზელანდია-იაპონია, 145:17, ბლუმფონტეინი, 1995 წელი.

მარკ ელისი დიდი რაგბიდან ნასვლის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეშოუები გახდა. თავის შოუში, ჯრიშნაიდელი სამოსით დარბოდა.

მანამდე კი ახალი ზელანდიის ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მორაგბე იყო. მსოფლიო თასზე ყველა ახალზელანდიელზე მეტი ლელო აქვს გატანილი. ეს რეკორდი დღემდე ვერავინ გაარეშეობესა. ელისი რეკორდსმენობას იაპონიის ნაკრების მაშინდელ უსუსურობას უნდა უმადლოდეს.

1995 წელს სამხრეთაფრიკულ ბლუმფონტეინში „ოლ ბლექსმა" ამომავალი მზის ქვეყნის შვილები დიდი ანგარიშით - 145:17 დაამარცხა. მარკ ელისმა ექვსი ლელო გაიტანა. ამავე შეხვედრაში პეთ-თრეი მიითვალა შვიდკაცა რაგბის ახალზელანდიელმა ლეგენდამ **ერიკ რაშმა.**

ეშლი ბილინგტონი, პონკონგი-სინგაპური 164:13, კუალა ლუმპური, 1994 წელის.

ეშლი ბილინგტონს ერთ მატჩში გატანილი ლელოების მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის. მან უმაღლესი განაღლება ბრიტანეთში მიიღო და რაგბის თამაშიც იქ დაიწყო. 1994 წელს, მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირზე პონკონგის ნაკრებმა კუალა ლუმპურში სინგაპურის ნაკრები 164:13 გაანადგურა. ბილინგტონმა მეტოქეს ათი ლელო გაუტანა.

პალიო ჯიმშელაძე, საქართველო-რუსეთი, 23:17, კრასნოდარი, 2003 წელი.

2003 წლის ერთა თასის გათამაშებაში „ბორჯღალოსნებმა" რუსი „დათვები" მათსავე ბუნაგში, კრასნოდარში ზედიზედ მეხუთედ გვიმეს - 23:17. ქართველებს ყველა ქულა მგეზავმა **პალიო ჯიმშელაძემ** მოუტანა. მის ანგარიშზე ამ მატჩში ერთი ლელო და ექვსი საჯარიმო იყო. მაშინ საქართველოს ნაკრებს ავსტრალიაში გასამართი მსოფლიო თასის საგზური უკვე მოპოვებული ჰქონდა და პლანტის ამ უდიდეს სარაგბო ფორუმისთვის ემზადებოდა.



ჯონა ლომუმ მაკ ქეთი გადაჯეგა



სიპრიანი კოლორადო რეპიდსში ვარჯიშობს

ინგლისის ნაკრებისა და ლონდონის „ვოსფსის" მგეზავ **დენი სიპრიანისთან** დაკავშირებულ მითქმა-მოთქმას ახალი ძალა მას შემდეგ მიეცა, როცა ის საფეხბურთო კლუბ „კოლორადო რეპიდსთან" ერთად მოვარჯიშე შენიშნეს.

დიდი ხანი არ არის, რაც სიპრიანის ახალ ავსტრალიურ სარაგბო კლუბ „მელბურნ რებელზთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მელბურნელები მომავალი წლიდან ზე 14-ის გათამაშებას მეთხუთმეტე გუნდად დაემატებიან და ზეპური რაგბის ეს შესანიშნავი ტურნირი აბსოლუტურად შეცვლილი ფორმატით ჩაგარდება.

რაც შეეხება ფეხბურთს, კოლორადოელი გუნდი პირველი არ არის, სადაც მან ივარჯიშა. ზაფხულის არდადეგები დენიმ ჯერ „ტუინზ პარკ რეინჯერსის", ხოლო შემდეგ „ტოტენჰემის" სარეზერვო შეკრებაზე გაატარა.

როგორ და რატომ აღმოჩნდა სიპრიანი „კოლორადოში"?

„დენის დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს ჩვენი კლუბის მწვრთნელებთან. ამჟამად გუნდთან ერთად სავარჯიშოზე მეკრება ზეა. ის საქმოდ მონდომებულია და, ეფიქრობ, ბიჭებს სეროზულ კონკურენციას გაუწევდა. „ - თქვა „რეპიდსის" მწვრთნელმა **გარი სმიტმა.**

სიპრიანი ფეხბურთით გატაცებას დროებითს უწოდებს, ამბობს, რომ ასე ფორმის შენარჩუნებას ცდილობს და, როგორც „რებელზის" მთავარ მწვრთნელს **როდ მაკკუინს** უთხრა, არ აპირებს, 300 ათას ამერიკულ დოლარზე უარი თქვას.

თუმცა სრულიად განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა „კოლორადო რეპიდსის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **ჯეფინს ჯილემა** „ტაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში:

„სიპრიანი იმდენად სერიოზულად ეკიდება საქმეს, რომ ვფიქრობ, ცდილობს გაარკვიოს თავისი შესაძლებლობები ფეხბურთში. თუ დარწმუნდა, რომ წარმატებული კარიერის ანყობა შეუძლია, უკეთესი წინადადების შემთხვევაში გამორიცხული არაა, რაგბიდან ფეხბურთში გადამპარგდეს".

ამ ვერსიას უარყოფს სიპრიანის პრესმდივანი **კეროლაინ მაკეტარი.**

„დენი თითქმის ყოველდღე ეკონტაქტება „მელბურნ რებელზის" მწვრთნელ რიდ მაკკუინს. მას მკაფიოდ გაწერილი მზადების გეგმა აქვს და ავსტრალიაში წლის ბოლოს გაეგზავნება.

რაც შეეხება ფეხბურთითი მის დაინტერესებას. „კოლორადო რეპიდზზე" გასწრაფიათ ოდესმე? თუ ფეხბურთითს თამაშს გადაწყვეტს, ეს არც „კოლორადო რეპიდსი" იქნება და არც მისი მსგავსი უსახელო გუნდი" - თქვა მან.

შეგახსენებთ, რომ სიპრიანის პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც ინგლისის ნაკრების თავკაცმა **მარტინ ჯონსონმა** აითვალწუნა. დენი ნაკრებში ეველარ ხედებოდა, რაც მის იმედზე უარყოფითად მოქმედებდა. მას მხსნელად ახალი მელბურნული კლუბი მოეელინა. ახლა ყველაფერი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული. ზეპურ რაგბიში თავის გამოჩენით უნდა დაამტკიცოს, რომ „პომებია" მთავარი მწვრთნელი შეცდა.

რებელზმა ახალზელანდიელი კვპჭი შეიძინა

ავსტრალიის ახალმა სარაგბო კლუბმა „მელბურნ რებელზმა" ახლახან კონტრაქტი გააფორმა „ქვინლენდერთან" შერკინების კვაჭ **ჯედ რობინსონთან.**

27 წლის მორაგბე მელბურნელებს ITM-ის თასის გათამაშების დასრულების შემდეგ შეუერთდება. რობინსონმა მარშან ზე 14-ის გათამაშებაში „ჰარიკენზის" შემადგენლობაში ითამაშა და ურიგოდ არ გამოიყურებოდა. მაგრამ, მერე **ენდრიუ პორმა** ბრავმა მოიიშუა და ჯედმა ნლევანდელი სეზონი მთლიანად სათადარიგოთა სკამზე გაატარა.

„ვფიქრობ, უსამართლოდ მომექცნენ. მარშან მშვენიერად ვითამაშე და მეტს ვემსახურებოდი. „რებელზის" ბელმძღვანელების შემოთავაზებას სიხარულით დავთანხმდი. მელბურნელების გარდა, მოლაპარაკებას კიდევ ერთ ავსტრალიურ გუნდ „ფორსთან" ვანარმოებდი, მაგრამ მსოფლიო თასის მომგებ რიდ მაკკუინთან მუშაობა ვარჩიე.

გუნდში რამდენიმე უმაღლესი რანგის ვარსკვლავია- ინგლისელები დენი სიპრიანი და მაიკლ ლიმბენი, ავსტრალიელი სტარლინგ მორთლოქი, ახალზელანდიელი გრეგ სომერვილი. ვფიქრობ, საინტერესო იქნება სხვადასხვა ეროვნებისა და კულტურის წარმომადგენელთა ანსამბლში თამაში" - თქვა რობინსონმა.

გვიანდი მოკაჭაძე
ბესიკ ჯანგბაჯაძემ

ნიკ ჰაიდფელდი

ოფიციალურად: ჰაიდფელდი დაბრუნდა

შვეიცარულმა სავჯინიმო „ზაუბერმა" დაადასტურა შემდგენლობაში ცვლილება - მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეობა, რომელიც სინგაპურში გაიმართება, გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდი ეჯერო დე ლა როსას** შეცვლის. გარდა ამისა, ვეტერანი სეზონის დარჩენილ რბოლებშიც მიიღებს მონაწილეობას. კონტრაქტი 17 სექტემბრიდან შევა ძალაში.

„ეს რთული გადაწყვეტილება იყო და მინდა მადლობა გადავუხადო პეტროს უდიდესი პროფესიონალიზმისთვის. ნიკთან კონტრაქტის გაგრძელებით ჩვენთან მოვიდა პილოტი, რომელსაც ყველა კარგად იცნობს. ჰაიდფელდის დაბრუნებით გავიგებთ ჩვენი ბოლოდროინდელი პოტენციალის", - ამბობს „ზაუბერის ხელმძღვანელი **პეტერ ზაუბერი.**

პეტერ დე ლა როსა: „გაოცებული ვარ გუნდის გადაწყვეტილებით, მაგრამ პატივს ვცემ მას. მინდა „ზაუბერს" წარმატება ვუსურვო დარჩენილ რბოლებში. ფორმულა 1-ში 2011 წელსაც ვაპირებ დარჩენას".

ნიკ ჰაიდფელდი: „მოუთმენლად ველოდებ მანქანაში ჩავდომას და სინგაპურის გრან-პრიზე გამოსულას. გასულ თვეებს განმავლობაში არნახულად მოტივირებული ვიყავი. თითქოს შინ ვბრუნდები - შვიდი წელი ვიმუშავე ამ გუნდთან ერთად და არ გამოჭირდება ახალ მანქანასთან შეგუება. მინდა მადლობა გადაუხადო პეტერ ზაუბერს ამ ნდობისთვის".

ხუთი კანდიდატი

თავის ბლოგში ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **დევიდ კულტჰარდმა** აღიარა, რომ სეზონის დასანყისში შეცდომა დაუშვა, როცა ნლევანდელ რბოლებს მოსანყენი უნოდა. ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ეტაპით ადრე ტატულისთვის ხუთი პილოტი იბრძვის და შოტლანდიელს მიაჩნია, რომ ნებისმიერ მათგანს შეუძლია წარმატების მიღნევა.

დევიდ კულტჰარდი: „2010 წლის სეზონის წინ ჩემს პირველ ბლოგს ასეთი სათაური ჰქონდა: „მოსალმ მოსაწყენი ფორმულა დავიგეოვა". ახლა, საკუთარი თავის დასაცავად იმის თქმა შემიძლია, რომ ერთადერთი არ ვიყავი, ვინც ტრასაზე მოსაწყენ სანახაობად ამ წინასწარმეტყველებდა. თუმცა ყველანი ვცდებოდით.

რა თქმა უნდა, წელს ყველა რბოლა განსაკუთრებულად მიმზიდველი არ ყოფილა, მაგრამ დრამატიზმი ყველა ეტაპს ახლდა. ოდნავ გიდურმა აზიურმა ამინდმა სწრაფად გამოაცოცხლა სტატუაცია ბაჰრეინის გრან-პრის შემდეგ და როცა პილოტებმა საკუთარი მანქანის ზღვარი იპოვეს, მაშინვე მოიშორეს კონსერვატიზმი და სერიოზულად მოპაკიდეს საქმეს ხელი.

მონაცემი ლუის ჰემილტონის გადმეტებული ენთუზიაზმი და ფერნანდო ალონსოს ზღაპრული გამარჯვება „ფერარის" სამიანი ტრასაზე - ახალი თავი ის სცენარისა, რომელიც კარგა ხანია არ გვინახავს.

ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი რბოლით ადრე ჩემპიონატში სიტუაცია სრულიად არაპროგნოზირებადია.

ლუისი იტალიაში წარმატებით რომ გამოსულიყო და გამარჯვება მოეპოვებინა, სეზონის დარჩენილ ნანილში მთავარი ფავორიტი გახდებოდა. ის ამას ხვდება და როგორც ჩანს, ამიტომაც ლანძღავდა რბოლის შემდეგ საკუთარ თავს. მან შესანიშნავი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან.

„მაკლარენი" მონაცემი გამარჯვებისთვის ჩავიდა და მიუხედავად იმისა, რომ ლუისმა კვალიფიკაცია ნარუმატებლად ჩაატარა, მისი პოლიდი დაბალ მოჭიდების ძალაზე იყო გათვლილი, რაც ბრიტანელს „ფერარისთან" თანაბარი პრძოლის საშუალებას მისცემდა.

ვიხსენებ ორი კვირის წინ სპას რბოლას და სებასტიან ფეტელის კრიტიკას იმ კატასტროფული მანევრის გამო, რომაც ჯენსონ ბატონი რბოლას გამოთიშა. მაშინ ვთქვი, რომ ყველა პილოტი უპირველ ყოვლისა ადამიანია და ყველას აქვს უფლება დაუშვას შეცდომა. ამ ეტაპზე ფეტელი ალბათ ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია, მაგრამ ეს ის სეზონია, სადაც ის ნამდვილად ბრძოლობს ტიტულისთვის და ამ ეტაპზე ის ყველაზე მეტ ქულას აგროვებს.

ფეტელის ადგილი ლუისის მისწრაფება, ნებისმიერი ხერხით მოიპოვოს პირველი ადგილი. მას კომპრომისი არ ახასიათებს და ეს ყოველთვის იყო მისი პილოტაჟის განმასხვავებელი ნიშანი. რაც მთავარია, ამ სეზონში ჰემილტონმა შეძლო ამ სტილის სტაბილურობასთან შეხამება.

სიმართლე გითხრათ, ვერ ვიხსენებ 2010 წელს მისი მხრიდან თუნდაც ერთ შეცდომას, არადა, ჰემილტონი ამ სეზონში ყოველთვის შესაძლებლობის ზღვარზე ასპარეზობდა. სავარაუდოდ, უფრო ნაკლებ შეცდომას მხოლოდ ჯენსონი უშვებს.

ლუისისა და ფელიპე მასას შეფაზება ელემენტარული შეცდომა იყო. ჰემილტონი ამბობს, რომ უკვე დაივიწყა ეს ეპიზოდი, მაგრამ დამიჯერით, ის მას მომდევნო რბოლებე ემახსოვრება. ორი კვირა იფიქრებს იმაზე, როგორ დააღალატა გუნდი, საკუთარი თავი და რომ ეს შეცდომა, შესაძლოა, ტატულის დაკარგვად დაუჯდეს.

მაგრამ მას კიდევ შეუძლია მოგება. თუმცა ახლა რომ შეიძლებოდეს ჩემპიონის გამოცნადება, პირადად მე მარკუბერს ავირჩევდი. აგიხსნით, რატომ: ჯერ ერთი, მარკი ხუთეულიანი სხვაობით ლიდერობს ჩემპიონატს; მეორე - როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, სეზონის ბოლო ხუთი ტრასა უფრო მეტად „რედ ბულის" ბოლიდებისთვის არის მისაბერებელი.

სინგაპურის ქუჩის ტრასა ისეთივეა, როგორიც მონაკოში, სადაც „რედ ბულმა" წელს დუბლი შეასრულა. „სუძეუკაზე" სწრაფი მისაბვეგებია „რედ ბულს" აძლევს ხელს. ინტერლაგოში ნაკლებად არის მისალოდნელი „რედ ბულის" უპირატესობა, ხოლო აბუ დაბი - ასევე კარგი იქნება ავსტრალიი სავჯინიბოს მანქანებისთვის. კორეის შესახებ კი არაფერია ცნობილი.

სებასტიან ფეტელი 24 ქულას აგებს თანაგუნდელთან, ასე რომ, ლოგიკურია ვივარაუდოთ - მარკი ჩემპიონატის ფავორიტია.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე მარტივად არ არის, როგორც ჩანს. მონაკის ტრასა თითქოს „მაკლარენის" უნდა ყოფილიყო, მაგრამ თავად იცით, რა მოხდა სინამდვილეში.

მოკლედ ვნახოთ, რა გამოვა. ამ ბიჭებიდან ნებისმიერი შეიძლება გახდეს ჩემპიონი".

დევიდ კულტჰარდი

ამბები

ჩრდგზური

სერენა უარჯიშს იწყებს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი** უახლოეს დღეებში განახლებს ვარჯიშს. ამერიკელმა ჩოგბურთელმა გამოტოვა აშშ-ის ღია პირველობა, რადგან ვერ მოასწრო ფეხის ოპერაციის შემდეგ ფიზიკური კონდიციების აღდგენა.

სერენას თქმით, ჯერ არ იცის, რომელ ტურნირზე ითამაშებს პირველად. ცნობილია მხოლოდ ის, რომ უმცროსმა უილიამსმა დაადასტურა ფედერაციის თასის ფინალში იტალიის ნაკრების წინააღმდეგ თამაში. ეს მატჩი ნოემბერში გაიმართება.

კრიკეი

Super Six გაძარიბდა

დიდი შეფერხებით მიმდინარეობს საშუალონონოსანთა ტურნირი - Super Six Boxing World Classic. გუშინ გაირკვა, რომ ჩაიშალა 2 ოქტომბერს მონაკოში დაგეგმილი ბრძოლა გერმანელ **არტურ აბრაჰამსა** და ამერიკელ **კარლ ფრონს** შორის. მიზეზი ფრონის ტრავმა გახლავთ.

„ორშაბათის დილით შეგვატყობინეს ზურგის ტრავმის შესახებ, ასე რომ, გამოირიცხა 2 ოქტომბერს ფრონის რინგზე გასვლა. თუმცა ამ ბრძოლის გამართვა ორი თვის შემდეგ შესაძლებელი იქნება", - ამბობს ამერიკელი მოკრიკის წარმომადგენელი.

ამ შეხვედრის გაუქმების შემთხვევაში, მთლიანად საფრთხის ქვეშ დადგება Super Six-ის ტურნირი, რომლის ორგანიზებისთვის დიდძალი ენერგია და ფული დაიხარჯა.

ქალთაბურთი

ოდენი მზად არ არის

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის" ცენტრი **გრეგ ოდენი**, რომელმაც მთელი შარშანდელი სეზონი მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა, ჯერ მზად არ არის მოედანზე გასასვლელად.

2007 წლის დრაფტის პირველი ნომერი კვლავაც ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს და რამდენიმე კვირის შემდეგ მეძლება ორნახრიც მატჩებში მონაწილეობის.

მძლეოსნობა

პრეზიდენტი გადაყენეს

მთანამდებობიდან დაითხოვეს ამერიკის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი **დუკ ლოგანი.** ამ ინფორმაციას ააგენტო „როიტერი" ავრცელებს.

ლოგანი ამ თანამდებობაზე ორი ნელი მუშაობდა. მისი გადაყენების გადაწყვეტილება ფედერაციის დირექტორთა საბჭოს სხდომაზე მიიღეს, თუმცა ჟურნალისტებისთვის მიზეზი უცნობი დარჩა.

ჰოკეი

დევილზი კოვალჩუკისთვის დასაჯეს

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ 3 მილიონი დოლარით დააჯარა „ნიუ ჯერსი დევილი". გარდა ამისა, „ეშმაკებს" 2011 წლის დრაფტის მესამე რაუნდში სასურველი მოთამაშის არჩევის უფლება წამოართვეს.

კლუბს სანქციები **ილია კოვალჩუკთან** კონტრაქტის გაფორმებისას დაშვებული მაქინაციების გამო დაუწესეს. NHL-ს მიაჩნია, რომ რუს ფორვარდთან 17-წლიანი და 102-მილიონიანი ხელშეკრულების გაფორმებისას, „დევილზი" ხელფასების მაქსიმალური ზღვრის წესისთვის გვერდის ავლას ცდილობდა.

საბოლოოდ, „ნიუ ჯერსიმ" რუს ვარსკვლავს 15-წლიან კონტრაქტი გაუფორმა, რომლის საერთო ღირებულება 100 მილიონს შეადგენს.

კიმი რენო მოისურვა

მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონი **კიმი რაიკონენი,** შესაძლოა, მომავალი სეზონიდან ფორმულა 1-ში დაბრუნდეს. ვარაუდობენ, რომ ფინელი პილოტი „რენოში" რუს **ვიტალი პეტროვს** შეცვლის. ადრე რაიკონენი აცხადებდა, რომ იმ შემთხვევაში დაბრუნდებოდა „დიდ ცირკში", თუ რომელიმე კონკურენტუნარიანი გუნდი მესთაყვანზებდა კონტრაქტის გაფორმებას. autosport.com-ის ინფორმაციით, ფინელ პილოტს მოენონა ბენეგიის გრან-პრიზე „რენოს" გამოსვლა. რაიკონენის წარმომადგენლებმა უკვე დაინყეს მოლაპარაკებები ფრანგულ საჯინიბოსთან. „რენოს" ბოსმა **ერიკ ბუიემ** დაადასტურა, რომ არ არის გამორიცხული ფინელის ტრანსფერი.

„რაიკონენი ჩვენთან კონტაქტზე გამოვიდა. მომავალი სეზონისთვის სხვადასხვა შესაძლებლობას განვიხილავთ და სახელგანთქმული ფინელი ერთერთი ასეთი ვარიანტია. ბევრი რამ ჩვენს მეორე პილოტ ვიტალი პეტროვზე იქნება დამოკიდებული. კიდევ გვაქვს იმედი, რომ დარჩენილ რბოლებში ის გვაჩვენებს თავის შესაძლებლობებს. ჯერჯერობით ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს და მხოლოდ რამდენიმე რბოლა ჩაატარა მაღალ დონეზე. დიახ, პეტროვთან კონტრაქტი მომგებიანია „რენოსთვის" რუსულ ბაზართან კაეშირის მხრივ, მაგრამ თუ არჩევანის წინაშე დავდგებით - ფინანსური მხარე თუ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული? - რა თქმა უნდა, მეორეს ავირჩევდი. კიდევ ერთხელ გავიმეორებ - ახლა ყველაფერი პეტროვის ხელშია. მომავალი წლისთვის შემდგენლობის საკითხზე ამ ჩემპიონატის ბოლომდე ჩამოვყალიბდებით", - განაცხადა ბუიემ.

საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კიმი რაიკონენის მომავალი კარიერა საზოგადოებას უფრო აღელვებს, ვიდრე თვად ფინელ პილოტს. „რენოს" ინფორმაციის პარალელურად გაჩნდა ჭორი იმის შესახებ, რომ 2012 წელს კიმი ოკეანის გადმა NASCAR-ის სერიაში აპირებს გადასვლას, სადაც „რედ ბულის" გუნდში **კეისი კეინს** შეცვლის.

ფინეთში ამ ჭორს „სულელური" უწოდეს, თუმცა იქაური ტელევიზიის ვებგვერდი გვახსენებს, რომ 2007 წლის ჩემპიონს მოქმედი კონტრაქტი აქვს „რედ ბულთან". ეს კომპანია კი რალიში რაიკონენის გუნდის - „სიტრონის" სპონსორია.

თეორიულად არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. კიმიმ მრავალი მართლაც მოინდომოს NASCAR-ში ძალების მოსინჯვა. ამ სერიაში ფორმულა 1-ის რამდენიმენ ყოფილი პილოტი გამოდის, მათ შორის „მაკლარენში" რაიკონენის ყოფილი თანაგუნდელი, კოლუმბიელი **ხუან პაბლო მონტოია.**

კიმი რენოსკენ იყურება

გვერდი მომაგზადა
გია თავალაბეიშვილმა

● კალათბურთი. სავარაუდო ტრანსფერი

პივერსონი ჩინეთში მიდის

ერთწლიანი საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანი ვარსკვლავი **ალენ აივერსონი**, შესაძლოა, უახლოეს ხანში ჩინეთში გადავიდეს სათამაშოდ. კალათბურთელის პირადმა მენეჯერმა **ჯერი მურმა** განაცხადა, რომ NBA-ში საწვრთნელი ბანაკების გახსნამდე ორ კვირაზე ნაკლებია დარჩენილი, მაგრამ ლიგის არც ერთმა კლუბმა არ მოისურვა 35 წლის მცველთან კონტრაქტის გაფორმება. უფრო მეტიც, ალენს ერთი შეთავაზებაც არ ჰქონია.

„რბილად რომ ვთქვა, გაოცებული ვარ. არც ერთი გუნდი არ დაგვკავშირებია. უბრალოდ არ მესმის, რა ხდება. ასეთი ვარსკვლავი ალენმა, რომ ყურადღების ცირსაღაც არ მიიჩნევს? ის ჯანმრთელია და ვარჯიშს აგრძელებს. არ მგონია, რომ კარიერის დასრულება ჰქონდეს ჩაფიქრებული", - ამბობს მური.

როგორც ირკვევა, აივერსონის მიმართ ერთ-ერთი ჩინური კლუბი გამოთქვამს დაინტერესებას. მური თქმით, ვეტერანი სერიოზულად განიხილავს ამ შეთავაზების ვარიანტებს.

შარშანდელ სეზონში აივერსონმა საშუალოდ მაგრში 13.9 ქულა და 4.1 მეფეგიანი მასი დააგროვა.

● ქრიკი

პატონს უმკურნალებენ

კრისპინნის სკანდალის გამო სახელგატეხილი ბრიტანელი მოკრივე **რიკი პატონი** სარეაბილიტაციო კლინიკაში მოათავსეს. ეს ბანაკი 31 წლის ყოფილმა ჩემპიონმა იმ კრიტიკის შემდეგ გადადგა, რაც ინტერნეტში გამოქვეყნებულმა ჩანაწერმა გამოიწვია. მასში მოკრივე ერთბაშად შვიდ ფონს კოკაინს იღებს.

რიკის ოფიციალური წარმომადგენლის **მაქს კლიფორდის** თქმით, პატონს, რომელსაც ცოტა ხნის წინ დაასრულა ოფიციალური კარიერა, ღრმა დეპრესია ჰქონდა. „ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები მას სულ ცოტა ხნის წინ დაეწყო", - ამბობს ცნობილი მენეჯერი.

ბრიტანელის პრობოუტირება გაანაცხადა, რომ ბოლო რამდენიმე კვირაა რიგითობა იმ თემაზე საუკეთესოდ ხელმძღვანელობს **ჩარლზ ჯაილზზი**.

ამ უკანასკნელმა ისიც აღნიშნა, რომ სწორედ მომავალი გასაუბრების შემდეგ იმსჯელებენ პატონისთვის პრომოუტორის ლიცენზიის ჩამორთმევის შესახებ. ჯაილზის ორგანიზაციაში მოქმედებს მკაცრი წესი, რომელიც ლიცენზიის მფლობელ ნებისმიერ მოკრივესა თუ პრომოუტორს უკრძალავს ნარკოტიკების მიღებას.

პატონმა პირველი ტატული 2001 წელს მოიპოვა, რომ **ტონი პეპი** დაამარცხა. მეორედ საჩემპიონო ქამარი 2005 წელს მოიპოვა - მაშინ მან ნახეირად საშუალო წონაში მსოფლიოს ბანოოლეტური ჩემპიონი, რუსი **კონსტანტინ ცზიუ** დაამარცხა. რიკი 2009 წლის მაისში ფილაინელ **მენი პაკიაოსთან** ნაგების შემდეგ რინგზე არ გასულა.

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ინგლისი

ჩემპიონატი

ბარნსლი-ლიდსი	5:2
ბრისტოლი-უოტფორდი	0:2
დერბისტბრი-ნორვიჩი	3:1
ჯალი-დერბი	2:0
იფსვიჩი-ქუინზ პარკი	0:3
ლესტერი-კარდიფი	2:1
მიდლსბრო-ბარნლი	2:1
მილტონ-კეინზ დონ	0:0
პრესტონ-ნიუკასლი	1:2
შეფილდი-სანდერლენდი	0:4
სუონსი-ქვინზპარკი	2:1
ქრ. პალასი-პორტსმუთი	4:1

გერმანია

რეგიონალურიგა ცრა

თურინგიმენი-ჰერტა A	გაგრძელდ

რეგიონალურიგა (სა)

ფიურტა A-ბინბრაახტი A	1:3

რეგიონალურიგა (ლა)

ბაიერი A-ცაიზერი A	0:0
დორტმუნდი A-ვუპერტალი	2:1

გვ2ლიგა

II ლიგისჩემპიონი

ლანდსკრონე-ტრელუპტანი	3:0
ოსტრაუი-ოიჩენიანი	1:1

ავსტრია

II ლიგისჩემპიონი

აუსტრია (ლ)-ბრაიდიგი	2:1
ადმირა-სტ. პოლტენი	3:2
ბრატკირნი-სტ. ანდრე	3:2
ვინა-ლუშტენაუ	4:1

ჩეხეთი

II ლიგისჩემპიონი

ჩასლავი-სპარტა B	1:1

ჩემპიონის თასი

სლავიენი-ბანიკი	0:0 პენ. 5:4
კოლინი-ლიბერეცი	0:3

ესპანეთი

II ლიგისჩემპიონი

ლუჩ ინერგია-ბალეარიკა	2:1
სპა ინერგია-ლინარე (ს-ა)	0:1
ნიველ ნოვიგოროდი-ვორვორდია	0:1
ავანგარდი-შინიკი	1:6
სალუტი-დინამო (მო)	4:2
რუბინი-ჭიმკინოს	1:0
ბაზაროვი-კრასნოდარი	2:1
ხიმკი-ირტიში	1:1
ყუბანი-ურალი	3:0

უკრაინა

ჩემპიონატი

კრივნოი-ლეგვაღია	0:4
კალევი-დნეპრაუშკი	4:0
კალუშ-ტავრია	3:1
პაიდა-ტულეციკი	1:1
ფლორა-ბრანს ნარვა	4:0

ლეგიონის თასი

ოლიმპია-პუშალიკში	2:0

სომხეთი

კ2ლ

ავტომობილ.-ვიტიაზი	3:3 დ.დ. 4:3
აპ ბარსი-ნეფტიხიმიკი	3:1

ლეგიონერები

ნეფთჩი-გუდაური	1:0

კრივი

კ2ლ

ავტომობილ.-ვიტიაზი	3:3 დ.დ. 4:3
აპ ბარსი-ნეფტიხიმიკი	3:1

ლეგიონერები

ზვოლენი-ლოკომი	4:0
მარტინი-პისტორიც	1:4
ნიტრა-კოშიცე	2:4
პრეშოვი-ქონიცა	0:4
ტრენჩინი-სკალიცა	2:2 პენ. 0:1

ჩოგბურთი

WTA. გუანგჯოუ

გროტი-ბრატჩიკოვა	6:2, 6:0
პარმენტიე-ბრიანტი	3:6, 1:6
მორზ-ო'ბრაიენი	6:3, 1:6, 6:2
კუდრიავცევა-ჯოვანოვსკი	6:1, 7:5
მორიტა-ნამიოკა	6:2, 6:2
გალოვიტცი-კიში	6:7, 6:1, 6:3
შიე-ჭანი	6:7, 6:1, 1:6
პანოვა-სუნი	1:6, 6:4, 6:2
პალუში-ტკასუ-უგარონი	6:7, 2:6
ჩანი-ჰეროკი	6:3, 0:6, 2:6

WTA. კვებეკი

ლისიცკი-გლეტჩი	4:6, 2:6
მატეკი-ფაილონი	6:4, 7:5
რუზი-კრეიბასი	3:6, 6:3, 6:7
ლუჩინი-კირსტეა	0:6, 6:1, 6:1
საფაროვა-ლეპჩენკო	7:5, 6:3
პაჩეკი-ერაკოვინი	6:0, 6:4

კლიჩკოების 35 მილიონი

გერმანელმა გამოცემა „ბილდმა" უარისებელ სუპერმძიმეწონოსნების - **ვლადიმერ** და **ვიტალი კლიჩკოს** სავარაუდო შემოსავლის ნუაროები გამოაქვეყნა.

უკრაინელების ბრძოლები ორგანიზებებზე მათი კუთვნილი ფირმა - KMG ზრუნავს. შესაბამისად, ძმებს არ უწევთ პრომოუტერული ჯგუფისთვის აუცილებელი 35 პროცენტის გადახდა. ამასთან, მოკრივეებსა და მათ მენეჯერ **ბერნდ ბენდს** ამ პაპმუროგრული ფირმის აქციათა მესამედი ეკუთვნით.

კლიჩკოს კონტრაქტი აქვთ გაფორმებული ფიქტ-ქლუბ McFit-სთან, ვიტამინების მწარმოებელ Eurova-სთან, გერმანულ სახელმწიფო კომპანია Telekom-თან და ავტოკონცერნ Mercedes-სთან. აგრეთვე ძმებს ეკუთვნით უძრავი ქონება სხვადასხვა ქვეყანაში. ყველაფერთან ერთად მათი ბრძოლების ტელეტრანსლაციების, ბილეთებისა და რეკლამების რეალიზაციის თანხები ერთ ბუღალტერ ორიცხება.

ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ ვლადიმერ კლიჩკოსა და ნიგერიელი **სამუელ პიტერის** ბრძოლის მაგალითზე ნათლად შეიძლება იმის წარმოდგენა, საიდან აქვს უკრაინელს უმუალოდ კრივიდან შემოსავლის წყარო. ასე მაგალითად, ტელეკარხი RTL ბრძოლის ტრანსლირებისთვის 3 მილიონს იხდის, 116 ქვეყანაში ტრანსლაციის გაყიდვიდან დაახლოებით 0,5 მილიონი მოიგანა, 23-მა სარეკლამო რგოლმა 2 მილიონი, ბილეთების რეალიზაციამ - ერთი მილიონი და ჯამში დაახლოებით 7 მილიონი გამოვიდა.

ამ შეიდი მილიონიდან ვლადიმერ ან ვიტალი ბრძოლის სანაცვლოდ 3 მილიონს მიიღებს, დარჩენილი თანხიდან მეტწილს ჰონორარს გადაუხდიან, ცალკე თანხაა საჭირო ადმინისტრაციული ხარჯებისთვის (დაახლოებით 150 ათასი), 12-კვირიანი მომზადებისთვის, 200 ათასი ევრო სჭირდება მწვრთნელებსა და სეკუნდანტებს.

ოთხ საკრივო ასოციაციას, რომელთა საჩემპიონო ქამრებს მფლობელები არიან ძმები, 45-დან 90 ათას ევრომდეც უხდიან. დარჩენილი თანხა (გადასახადების გამოკლებით) კლიჩკოების ფირმის საკუთრებაა.

ცნობილია, რომ გადასახადების დიდ ნაწილს კლიჩკოები გერმანიაში იხდიან, მხოლოდ მმერიკის ტერიტორიაზე გამართული ბრძოლების დროს საქმეს KMG-ის შვილობილი კომპანია K2 განაგებს.

ამ გამოთვლებით „ბილდმა" დაადგინა, რომ ვლადიმერ კლიჩკოს ანგარიშზე 20 მილიონი ევრო უნდა იყოს, მის უფროს ძმას ვიტალის ოთხწლიანი შესყენების გამო ოდნავ ნაკლები - 15 მილიონი აქვს.

● TV პროგრამა

15 სექტემბერი, ოთხშაბათი

I არხი

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური (LIVE).
01:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.

რუსთავი 2

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. რეალი-ბიაქში (LIVE).

НТВ-ПЛЮС (ფეხბურთი)

06:50 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:50 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბურსა-ვალენსია.
10:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
12:00 ახალი ამბები.
12:15 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მანჩესტერ იუნაიტედი-ბენფიკა.
14:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:15 ახალი ამბები.
16:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ლიონი-მარსელი.
18:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ვერდერი-ბორტმუნდი.
20:20 ახალი ამბები.
20:40 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
21:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
00:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფილინა-ჩელსი.
02:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. არსენალი-ბრაგა.
04:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. მილანი-ოსერი.

EUROSPORT

10:35 რალი-რეიდი. აბრეშუმის გზა. IV ეტაპი.
10:45 ავტოსპორტი. რენოს მსოფლიო სერია. მიმოხილვა.
11:15 ველოსპორტი. ვუელტა. XVI ეტაპი. ესპანეთი.
12:30 სნუკერი. მასტერსი. ფინალი. შანხაი. ჩინეთი.
14:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ვენესუელა-ესპანეთი. ტრინიდადი.
15:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ბრაზილია-კანადა. ტრინიდადი.
16:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
17:00 ველოსპორტი. ვუელტა. XVI ეტაპი. ესპანეთი.
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. XVII ეტაპი. ესპანეთი (LIVE).
19:30 მაგიდის ჩოგბურთი. ეროპის ჩემპიონატი. ქალები. გუნდური. ფინალი. ისტრავა. ჩეხეთი.
20:25 ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
21:00 ეროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მოტტისპორტი.
21:20 ცხენოსნობა. საერთაშორისო ტურნირი. ბიარიცი. ბრიტანეთი.
22:50 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:55 გოლფი. PGA-ის ტური.
00:55 გოლფი. ეროპის ტური.
01:15 აფროსნობა. Med Cup. კარტახენა. ესპანეთი.
01:45 გოლფ-კლუბი.
01:50 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:55 მოტტისპორტი.
02:00 რალი-რეიდი. აბრეშუმის გზა. V ეტაპი.
02:15 მაგიდის ჩოგბურთი. ეროპის ჩემპიონატი. კაცები. გუნდური. ფინალი. ოსტრავა. ჩეხეთი.K

● ველოსპორტი

ვუელტა

XVI ეტაპი

ბოლო ეტაპი - ჯიხონი-ლანგრეო. 181.4 კმ

1. ბაკეტ ნიევე (ესპანეთი, Euskaltel-Euskadi) - 4:51,59; 2. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, Saxo Bank) - +1,06; 3. კევინ დე ვეერტი (ბელგია, Quick Step) - +1,08; 4. ხოაკინ როდრიგესი (ესპანეთი, „კატიუშა") - +1,22; 5. ლუის ლეონ სანჩესი (ესპანეთი, Caisse d'Epargne) - +1,32; 6. ეზეკიელ მოსკერა (ესპანეთი, Xacobeo Galicia) - +1,40... 9. კარლოს სასტრე (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +1,50; 10. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, Liquigas-Doimo) - +1,59... 19. რომან კრეიციგერი (ჩეხეთი, Liquigas-Doimo) - +3,53...

საერთო რაუნდი

1. ხოაკინ როდრიგესი (ესპანეთი, „კატიუშა") - 70:24,39; 2. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, Liquigas-Doimo) - +0,33; 3. ეზეკიელ მოსკერა (ესპანეთი, Xacobeo Galicia) - +0,53; 4. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, Saxo Bank) - +2,16; 5. ნიკოლას როში (ირლანდია, Ag2R-La Mondiale) - +3,01; 6. ჰეტერ ჯელიდი (სლოვაკეთი, Team HTC-Columbia) - +4,27... 9. კარლოს სასტრე (ესპანეთი, Cervelo Test Team) - +4,53...

გვერდი მოამზადა **გია თევზაძემ**

● ჩოგბურთი. რეიტინგები

ATP-ის რეიტინგი

1(1). რაფაელ ნადალი (ესპ)	12 025
2(3). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	7 145
3(2). როჯერ ფედერერი (შვეიც)	6 735
4(4). დევიდ ფერარი (ესპ)	5 035
5(5). რომან სტორდერხინი (შვეიც)	4 910
6(6). ნიკოლას დავორდენკო (ჩეშ)	4 150
7(7). ტომას ბერდიხი (ჩეხ)	3 780
8(8). ფერნანდო ვერდასკო (ესპ)	3 330
9(14). მიხაილ უუჟნი (რუს)	3 295
10(12). დავიდ ფერარი (ესპ)	3 200
11(9). დენი ფოლტინი (აშშ)	3 180
12(11). ფრ-ჯილერმო ჯორა (სალ)	2 905
13(15). ნიკოლაი დავიდენკო (აშშ)	2 605
14(13). მაროს მაილირი (ხორ)	2 540
15(19). ბაუტ დე ნორდშულპ (ბელ)	2 250
16(16). ნიკოლაზ ალმაგრო (ჩილ)	2 150
17(17). ნიკოლ ლოზნიური (ხორ)	2 120
18(18). მარკოს ბაღდატისი (კვიპ)	2 030
19(22). მაროს ფიში (აშშ)	1 931
20(23). სტანისლას ვავრინკა (შვეიც)	1 860

ფეხვალი მოჭადარი

1. რაფაელ ნადალი (ესპ)	6 531 738
2. როჯერ ფედერერი (შვეიც)	4 077 635
3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ)	2 533 422
4. დენი შუმახერ (გერმ)	2 350 307
5. რომან სტორდერხინი (შვეიც)	2 184 563
6. ანდრე აგასი (ჩეხ)	1 964 216
7. ფერნანდო ვერდასკო (ესპ)	1 598 179
8. დენი ლობდი (აშშ)	1 580 738
9. უეინ ფერდასკო (აშშ)	1 403 742
10. დავიდ ფერარი (ესპ)	1 389 467
11. მიხაილ უუჟნი (რუს)	1 357 198
12. ლიზ კუპერ (აშშ)	1 174 197
13. ნიკოლაზ ალმაგრო (ჩილ)	1 072 413
14. ფრ-ჯილერმო ჯორა (სალ)	1 018 920
15. მაროს მაილირი (ხორ)	1 000 323
16. ივან ლენდლი (ხორ)	965 747
17. მარკ ფილიპი (აშშ)	909 799
18. მაიკ ბრაიანი (აშშ)	909 799
19. მაროს ფიში (აშშ)	899 498
20. ჯონ ისნერი (აშშ)	849 763

WTA-ის რეიტინგი

1(1). სერინა უილიამსი (აშშ)	6 995
2(2). კლიჯსტერს ჰენინ (ბელ)	5 910
3(4). ვიქტუ უილიამსი (აშშ)	5 796
4(3). ჯელა ჯანკოვიჩი (რუს)	5 550
5(3). კიმ კლაისტერსი (ბელ)	5 325
6(5). ელენა დემენტიევა (სალ)	5 205
7(6). სამანტა სტოუნზი (ავსტრალ)	4 950
8(7). ფრანჩისკა სკიავონე (იტა)	4 670
9(10). ანაზიზა რაძვანოვა (ჰუნ)	3 995
10(12). ელენა დემენტიევა (რუს)	3 945
11(11). შვიდონია ანჯარეკა (ესპ)	3 715
12(9). ნა ლი (ჩინ)	3 520
13(13). სამანტა ქუნნეიროს (რუს)	3 516
14(14). მარიონ ბარტოლი (სალ)	3 455
15(17). მარია შარაპოვა (რუს)	3 450
16(15). ფლორენ ალნი (ბელ)	3 410
17(19). შაან ჰეიდი (ისრ)	3 295
18(20). ალექსა რეზაი (სალ)	3 100
19(16). ნადია პეტროვა (რუს)	3 070
20(22). ა. პეტროვიჩოვა (რუს)	2 780

ფეხვალი მოჭადარი

1. სერინა უილიამსი (აშშ)	4 266 011
2. კიმ კლაისტერსი (ბელ)	3 585 060
3. ვიქტუ უილიამსი (აშშ)	2 614 782
4. მარია შარაპოვა (რუს)	2 316 891
5. ანაზიზა რაძვანოვა (ჰუნ)	2 115 988
6. ფრანჩისკა სკიავონე (იტა)	2 090 759
7. სამანტა სტოუნზი (ავსტრალ)	1 762 908
8. ელენა დემენტიევა (სალ)	1 683 776
9. ჯელა ჯანკოვიჩი (ესპ)	1 401 960
10. ანაზიზა რაძვანოვა (სალ)	1 220 771
11. ფლავია პენეტა (იტა)	1 031 466
12. ნადია პეტროვა (რუს)	1 025 942
13. ელენა დემენტიევა (რუს)	931 515
14. შვიდონია ანჯარეკა (ესპ)	897 634
15. ნა ლი (ჩინ)	897 261
16. ნატალია ვვედენოვა (უკრ)	880 870
17. ჟიე ჭენგი (ჩინ)	856 019
18. შაან პეტრი (ისრ)	852 457
19. ანაზიზა რაძვანოვა (ჰუნ)	830 433
20. მარტინა სანჩესი (ესპ)	773 273


ნადალმა კოლექცია შეავსო

ჯოკოვიჩმა ერთი ჩოგანი შეინირა

არის კარიერული სლემი!

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ღია პირველობის ფინალში გასვლით **რაფაელ ნადალი** ერთ ნაბიჯში იყო ისტორიულ მიღწევასთან. გამარჯვება ბოლომდე შეავსებდა იმ დიად მოზაიკას, რომელსაც „კარიერული სლემი“ ჰქვია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესპანელის კოლექციაში იქნებოდა „დიდი სლემის“ ოთხივე ტურნირის მთავარი პრიზი. ადრე ასეთი მიღწევა ექცა ჩოგბურთელს ჰქონდა - **ფრედ პერის** („კარიერული სლემი“ 1935 წელს როლან გაროსზე გაიმარჯვა), **დონალდ ბაჯს** (როლან გაროსი - 1938), **როდ ლევერს** (აშშ-ის ღია პირველობა - 1962), **როი ემერსონს** (უიმბლდონი - 1964), **ანდრე აგასის** (როლან გაროსი - 1999) და **როჯერ ფედერერს** (როლან გაროსი - 2009). როგორც ვიდეოთი, ამ სიაში ბევრ ლეგენდარულ ჩოგბურთელს ვერ ვხედავთ - **ბიორნ ბორგს, ჯონ მაკინროის, ჯიმი კონორსს, პიტ სამპრასს, ივან ლენდლს, ბორის ბეკერსსა** და სხვებს. ასე რომ, ეს ფრაიდ დასაფასებელი ჯგუფია.

რაც შეეხება ნადალის გუშინდელ მეტოქეს **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, ამ მიღწევამდე მას ძალიან ბევრი უკლია. ის მხოლოდ „დიდი სლემის“ მეორე ტიტულისთვის იბრძოდა. პირველი გამარჯვება მან ორი წლის წინ ავსტრალიის ღიაზე მოიპოვა და იქიდან მოყოლებული, სერბს დიდი ტურნირების ფინალში არ უთამაშია.

ფინალის გამართვას ამინდმა ორჯერ შეუშალა ხელი. პირველად კვირას გაწვიმდა და ორგანიზატორებს შეხვედრის მეორე დღისთვის გადადებამ მოუწიათ. გადაწყვეტი მაჩვენ ზედიზედ მესამედ, ორშაბათს გეიმართა. ეს პაუზა ხელს აძლევდა ჯოკოვიჩს, ვისაც ნახევარფინალში ოთხსაათიანი ბრძოლა მოუწია **როჯერ ფედერერთან** და დასვენება სჭირდებოდა. ნადალს ნახევარფინალში თითქმის არ შეხვედრია ნინაალმდეგობა რუსი **მიხაილ იუჟნისან**.

ჯოკოვიჩი ფიზიკურად სავსებით ნორმალურად გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, ულამაზესი ფინალის დიდი ნაწილი ესპანელი ჩოგბურთელი უკეთ გამოიყურებოდა. ჯოკოვიჩმა პირველივე გეიმში დაიმსახურა მოწოდება. ახლოს იყო მეორე ბრეიკის ნაგებასთან, მაგრამ დროულად მოეცო გონს, 0:30-დან გადაარჩინა საკუთარი გეიმი და შემდეგ, ბრეიკიც დაიბრუნა. ამის შემდეგ, სერბს თითქოს ფსიქოლოგიური უპირატესობა უნდა მიეღო, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. ნადალმა ჩვეულებრივად გააგრძელა თამაში, ჯოკოვიჩმა კი ოფანგ მოუკლო და ესპანელმა სამმაგი ბრეიკ-პოინტი მიიღო. ნოვაკმა ამ გეიმისთვის ბევრი იბრძოლა, მაგრამ ულასრულოდ ბრეიკ-პოინტების მოგერიება შეუძლებელი იყო - რაფამ მეექვსე ცდიდან აიღო მონინააღმდეგის მოწოდება, რის შემდეგაც ნოვაკმა ზოგიერთი დაამსხვრია. ამის შემდეგ პირველი სეტის ბოლომდე ბრძოლა არ ყოფილა - ნადალი მიღებაზე დიდად არ იკლავდა თავს, თუმცა არც საკუთარ გეიმზე აძლევდა შანსს მოწინააღმდეგეს - 6:4.

მეორე სეტის სტარტზე ჯოკოვიჩის თამაში მთლიანად შეიცვალა. სერბი ისე ათამაშდა, რომ მოწინააღმდეგეს ნოვაკი გვახსენებდა, რომელიც 2008 წელს ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო. თუმცა პირველი ბრეიკი ჯოკოვიჩმა არა თავისი ატაკური ორმაგით, არამედ ნადალის შეცდომების ხარჯზე მოიგო. რაფა თავის თავს არ პკადავდა და სერბი ლოგიკურად 3:1 დანინაურდა. შემდეგ ჯოკოვიჩის ჩაჯარჩის ჯერი დადგა - შემთდე გეიმში მან 40:15-დან ნააგო საკუთარი მონოდება, მაღე კი ანგარიშიც გათანაბრდა - 4:4. ესპანელი აშკარად გონს მოეგო და ზედიზედ მეორე ბრეიკს უმიზნებდა, რაც 30:30-ზე კიდევ ერთხელ განვიმდა და ჩოგბურთელებმა გასახდელს მიაშურეს.

ფინალისტების კორტზე ორი საათის შემდეგ დაბრუნდნენ. ნოვაკმა გადაარჩინა საკუთარი მოწოდება, ბოლო გეიმში კი მიღებაზე ბრწყინვალედ ითამაშა და ბრეიკით მეორე პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა - 7:5.

ბეგონ რამ მომდევნო სეტს უნდა გაერკვია - გააგები იყო, რომ ნადალის ხუთ სეტში დამპარცხება შეუძლებელი იქნებოდა. ჯოკოვიჩის გულშემატკივრებისთვის საბედნიეროდ, სერბს არ აღმოაჩნდა მესამე პარტიის მოგების რეალური შანსი.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჯოკოვიჩს ძვირად დაუჯდა სეტის დასაწყისში ბრეიკ-პოინტზე დაშვებული შეცდომა. ეს, რა თქმა უნდა, დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ სეტის ნაგება მხოლოდ ამას არ უნდა დაპპრალდეს. ნადალს ჯოკოვიჩის ყველა გეიმში (ბოლოს გამოკლებით) ჰქონდა ბრეიკ-პოინტი, თავად სერბს კი ასეთი შანსი მესამე პარტიაში ერთხელაც არ მისცებია. თუმცა „ჯოკერი“ მაინც უნდა შევაქოთ - ბრეიკ-პოინტებზე შეტევას არ ერიდებოდა და მეტოქეს ინიციატივის საბოლოოდ ხელში ჩაგდების შესაძლებლობას არ აძლევდა. მესამე სეტში ნადალმა 11 ბრეიკ-პოინტიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა (სულ მატჩში - 25-დან - 5) - ძალიან ცუდი მაჩვენებელია პირველი ჩოგანისთვის. მიუხედავად ამისა, რაფაელმა სეტი 6:4 მოიგო.

ჯოკოვიჩი, რა თქმა უნდა, შეეცადა მეოთხე სეტში გაბრძოლებას, მაგრამ ნადალი ძალიან კარგად გამოიყურებოდა. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა პირველი უნებლიე შეცდომა მაშინ დაუშვა, როცა სეტში ანგარიში 5:1 იყო. ნოვაკმა, რომელმაც ორი საკუთარი გეიმი ნააგო, პერიოდებში რამდენიმე უმაღლესი დონის დარტყმა შემოგვთავაზა, მაგრამ ძალიან ბევრ შეცდომასაც უშვებდა. ამასობაში, ნადალი მატჩზე ჩასანოდებად გავიდა, შეცდომა გაუსწორა ხაზის მსაჯს, რომელმაც ჯოკოვიჩის დარტყმის შემდეგ აუტი დაიფიქსირა, მატჩბოლი მოიპოვა და ის ნოვაკის შეცდომის ხარჯზე გამოიყენა.

„სულ რაღაც 24 წლის ვარ. „კარიერული სლემის“ მოპოვება - დაუჯერებელი მიღწევაა, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ამერიკის ღია პირველობის მიგება მინდოდა. ამ პრიზის ასაღებად მთელი ცხოვრება ძალიან ბევრს ვმუშაობდი. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე „დიდი სლემის“ ოთხივე ტურნირის მოგებას შევძლებდი“, - განაცხადა რაფაელ ნადალმა.

„მას შეუძლია ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე გახდეს. ჩემი აზრით, რაფას ჰარდზე ასე კარგად არასოდეს უთამაშია. სერიო ზულად გააძლიერა მოწოდება, სისწრაფე, სიზუსტე... უკანა ბაზაზე კი ყოველთვის ძლიერი იყო, ასე რომ, მას ახლა არაქვს სუსტი მხარე“, - ასეთი იყო ჯოკოვიჩის შეფასება.

რაფამ და ნოვაკმა რიგით 22-ე შეხვედრა ჩაატარეს და ესპანელმა კიდევ უფრო გაზარდა თავისი უპირატესობა - 15:7.

მოკლედ, ტრიუმფალური და ერთი შეხედვით იოლი გამოვიდა ნადალისთვის „კარიერული სლემის“ მოგება. სხვათა შორის, რაფაელი ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელია, ვინც ამ შედეგს მიაღწია. ასევე პირველი ჩოგბურთელია **როდ ლეივერის** შემდეგ, რომელმაც ერთ სეზონში ერთმანეთის მიყოლებით მოიგო როლან გაროსი, უიმბლდონი და აშშ-ის ღია პირველობა.

ახლა ნადალის ანგარიშზე „დიდი სლემის“ ცხრა ტატოლი და თუ ასე გააგრძელა, შეიძლება როჯერ ფედერერის აბსოლუტურ რეკორდს შეუტოს - 16 გამარჯვება პრესტიჟულ ტურნირებზე. ასევე დაგეგმება სასეზონო „დიდი სლემის“ მოგება, რომელზეც ასე ოცნებობდა ფედერერი, მაგრამ მაინც ვერ შეძლო მისი ასრულება.

ახლა ნადალს შეუძლია დამსახურებულად დატკბეს ტროფეთი. ამ კვირას მას არ უწევს დეკისის თასზე თამაში და მშვიდად დაგეგმავს სეზონის დარჩენილ ნაწილს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ის 2010 წლის პირველი ჩოგანის რანგში დაასრულებს. სხვათა შორის, სეზონის ბოლოს ნადალს კიდევ ერთი ამოცანა აქვს შესასრულებელი - პრიზების სრული კოლექციისთვის წლის შემაჯამებელი ტურნირის მოგება აკლია.

■ ■ ■

კაცების ფინალის გარდა, წვიმის გამო გადადანელიები ქალთა წყვილების ფინალი. თამაში მაძინ შეწყდა, როცა გადამწყვეტ სეტში რუსი **ნადია პეტროვა** და ამერიკელი **ლიზელ ჰუბერი** 5:4-ს უგებდნენ **ვანია ვინგისა** (აშშ) და **იაროსლავა შვედოვას** (ყაზახეთი) დუეტს. მატჩის განახლებისთანავე პეტროვამ და ჰუბერმა მატჩბოლი მოიპოვეს, მაგრამ მეტოქეებმა დიდი გაძლირების მოგერიეს საფრთხე, ტაი-ბრეიკზე კი უკეთ გამოიყურებოდნენ და დამსაბურებელად გაიმარჯვეს - 2:6, 6:4, 7:6(4). კინგისთვის და შვედოვასთვის ეს ზედიზედ მეორე გამარჯვებაა „დიდი სლემის“ ტურნირებზე - მანამდე მათ უიმბლდონი მოიგეს. გარდა ამისა, შვედოვა წელს როლან გაროსის მოგებითაც ინიშნებს თავს - პარიზში მან **ოლიან ნოულანთან** ერთად იმარჯვა, მაგრამ მეორე პრიზის აღება არ დაანებებს.

კაცები

ფინალი

რაფაელ ნადალი (ესპ, 1) - ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3) 6:4, 5:7, 6:4, 6:2.

დიდი სლემის რეკორდსმენები

16 - როჯერ ფედერერი
14 - პიტ სამპრასი
12 - როი ემერსონი
11 - როდ ლეივერი, ბიორნ ბორგი
10 - ბილ ტილდენი
9 - რაფაელ ნადალი
8 - კენ როზუოლი, ჯიმი კონორსი, ივან ლენდლი, ანდრე აგასი, ენრი კოშე, ფრედ პერი, მაქს დეკიუჟი, უილიამ ლარნედი

აშშ-ის ღია პირველობის ყველა ჩემპიონი (2010)

ვირტუელები

კაცები - რაფაელ ნადალი
ქალები - კიმ კლაისტერსი

წყვილები

კაცები - ბობ ბრაიანი/მაიკ ბრაიანი
ქალები - იაროსლავა შვედოვა/ვანია კინგი

მიქსები

ბობ ბრაიანი/ლიზელ ჰუბერი
იუნიორები (ვაჟები)
ერთეულები - ჯეკ სოკი
წყვილები - დუელიო ბერეტა/რობერტა კირიზი
იუნიორები (გოგონები)
ერთეულები - დარია გავრილოვა
წყვილები - ტიმეა ბაბოში/სლოუნ სტივენს

გვერდი მოამზადა
გია თავლაბეიშვილმა